ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

პარასკევი, 14 ოქტომბერი, 1949 წ. № 204 (8507). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში:

წარმატებით ჩავატაროთ რთველი, დროზე გადავამუშაოთ ყურძენი — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ამხანაგ ი. ბ. სტალინის მისალმება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტ ბატონ ვილჰელმ პიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრ ბატონ ოტო გროტევოლისადმი (1-ლი გვერდი).
საბჭოთა კავშირში (1-ლი გვერდი).
სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
პოლიტსკოლების პროპაგანდისტთა დასახმარებლად (მე-2 და მე-3 გვერდი).
ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატები (მე-3 გვერდი).
ცილისწამებისა და ფალსიფიკაციის წინააღმდეგ — ა. ი. ვიშინსკის სიტყვა გენერალური ასამბლეის სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში 1949 წლის 11 ოქტომბერს (მე-3 და მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

## წარმატებით ჩავატაროთ რთველი, დროზე გადავამუშაოთ ყურძენი

მრავლდება სახელოვან მევენახეთა რიგები. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 5 ოქტომბრის ბრძანებულებით მევენახეობა-მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობების 17 მუშაკს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა. ახლა სოფლის მეურნეობის დარგში ჩვენს რესპუბლიკას სულ 783 სოციალისტური შრომის გმირი ჰყავს. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების გამოქვეყნება დაემთხვა პასუხსაგებ სამუშაო პერიოდს — ყურძნის კრეფასა და გადამუშავებას. დიდ ჯილდოს მევენახეები ახალი შრომითი აღმავლობით უპასუხებენ.

ჩვენი რესპუბლიკის მევენახეები წლითი წლობით ადიდებენ ყურძნის მოსავალს. გურჯაანის რაიონის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეურმა ალექსი კუპრაშვილმა 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე წელს მოიყვანა 80 ცენტნერი ყურძენი, ამავე რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" მერგოლეურმა ქ. სომხიშვილმა ჰექტარზე მოიყვანა 155 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 55 ცენტნერისა. ყვარლის რაიონის ახალსოფლის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ი. ჭანკვეტაძემ მისთვის მიჩენილ ერთ ჰექტარზე მიიღო 85 ცენტნერი ყურძენი. ასეთი მაგალითები უამრავია.

მოწინავე კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უდანაკარგოდ იღებენ ყურძენს. კვების მრეწველობის მოწინავე საწარმოები დიდი ყურადღებით ეპყრობიან ახალი მოსავლის ყურძნის მაღალხარისხოვნად გადამუშავებას, ღვინის ხარისხის გაუმჯობესებას.

თელავის, გურჯაანისა და ყვარლის რაიონებში „კომუნისტის" გამსვლელი რედაქციის, ჩვენი საკუთარი კორესპონდენტების სიგნალები ცხადყოფენ, რომ რთველის პირველ დღეებში გამოვლინებულ იქნა მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი. მაგალითად, ყვარლის რაიონის სოფელ შილდის კოლმეურნეობის ცალკეულ ნაკვეთებზე დაუმწიფებელი ყურძენი მოკრიფეს, მუკუზნისა და ყვარლის საბჭოთა მეურნეობებში ყურძნის გადამუშავებისას სათანადოდ არ იცავენ სანიტარულ წესებს. მუკუზნის საბჭოთა მეურნეობის მიმღებ პუნქტში იყო შემთხვევები, როცა ჩამბარებლებისაგან უხარისხო ყურძენი მიიღეს.

ზესტაფონის რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობანი არ იცავენ ყურძნის ჩაბარების განრიგს. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ შამპანური ღვინის კომბინატის ზესტაფონის ქარხანა სუსტ კონტროლს უწევს კოლმეურნეობებს განრიგის შესრულების საქმეში.

ორჯონიკიძის რაიონის კიცხის ღვინის ქარხანაში ფერხდება ყურძნის გადამუშავება. შენობა გადაუხურავია და შიგ წვიმა ჩადის. მაგრამ ამ მდგომარეობას რატომღაც ურიგდება შამპანური ღვინის კომბინატის ორჯონიკიძის ქარხნის სამმართველო, რომლის დაქვემდებარებაშიც ეს ქარხანა არის.

ცუდად მუშაობს გურჯაანის ღვინის ქარხანა. აქ მოტანილ ყურძენს დაგვიანებით იღებენ, კოლმეურნეებს ლოდინი უხდებათ, ყურძნის მიღება-გადამუშავების გაჭიანურების ფაქტებს ვხვდებით ამავე რაიონის სოფელ ველისციხის დამამზადებელ პუნქტებშიც.

რთველს მომზადებული ვერ შეხვდნენ თელავის რაიონის სოფელ აკურაშიც. ამ კოლმეურნეობის „გუბისპირულ" ვენახებში დილის 7 საათზე ყურძნის საკრეფად ს. ბლუიშვილის ბრიგადის 50-ზე მეტი კოლმეურნე გამოცხადდა, მაგრამ ადგილზე არ აღმოჩნდა საწორები და სხვა საჭირო ინვენტარი. ამის გამო ყურძნის კრეფა მხოლოდ დღის პირველ საათზე დაიწყეს. ამ სოფლის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს რატომღაც ეს არანორმალური მდგომარეობა არ შეუმჩნევიათ.

ახლა რთველი მასობრივად არის გაჩაღებული. მევენახეობის რაიონების პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა და რაისაბჭოების აღმასკომებმა, დამამზადებელმა ორგანიზაციებმა — საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტმა, საქართველოს შამპანური ღვინის კომბინატმა და მათმა ადგილობრივმა ორგანოებმა გადამწყვეტი ზომები უნდა მიიღონ შემჩნეულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსასწორებლად, უზრუნველყონ წესრიგის დამყარება ყურძნის მიმღებ პუნქტებსა და ნედლეულის გადამამუშავებელ ქარხნებში. პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ყურძნის კრეფა-გადამუშავების წესების დარღვევის ფაქტები დაუყოვნებლივ უნდა გახადონ მსჯელობის საგნად და მოსთხოვონ სასტიკი პასუხი იმ პირებს, რომელთა დაუდევრობითაც ბრკოლდება საქმე.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის სექტემბრის პლენუმმა მევენახეობის რაიონების მშრომელებს და მეღვინეობის მრეწველობის მუშაკებს დიდი ამოცანები დაუსახა ყურძნის კრეფისა და ღვინის გადამუშავების დარგში. პარტიულმა ორგანიზაციებმა, აგიტატორებმა თვითეულ კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობის, ღვინის ქარხნისა და მიმღები პუნქტის მუშაკებს საფუძვლიანად უნდა გააცნონ ეს ამოცანები და დარაზმონ ისინი დასახულ ამოცანათა წარმატებით განსახორციელებლად.

თუ ჩვენი მევენახეები ყურძნის მთელ მოსავალს სწრაფად და უდანაკარგოდ აიღებენ, მათ დიდი საშუალება აქვთ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულონ ყურძნის დამზადების 1949 წლის გეგმა. მოწინავე კოლმეურნეობები ყველაფერზე მაღლა სახელმწიფოს ინტერესებს აყენებენ და საუკეთესო ხარისხის ყურძენს აბარებენ. სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა წარმატებით შეასრულეს ყურძნის დამზადების გეგმა და ვალდებულება აკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 3.000 ცენტნერი ყურძენი, მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა იკისრეს გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცენ 1.500 ცენტნერი ყურძენი. ყველაფერი ეს მოწმობს, რომ სოფლის მშრომელები გამსჭვალული არიან ერთი აზრით — მისცენ ჩვენს ქვეყანას მეტი ყურძენი. არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორება და ორგ ნიზებული მუშაობა გაადიდებს ყურძნის დამზადების გეგმების წარმატებით შესრულების შანსებს.

სოფლის მეურნეობის ორგანოებმა მკაცრი კონტროლი უნდა დააწესონ ყურძნის კრეფისადმი, აგრონომებმა და მეღვინეებმა სისტემატური დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს ყურძნის კრეფის წესების მტკიცედ დაცვის საქმეში. სახელმწიფოს უნდა ჩაბარდეს მხოლოდ მაღალხარისხოვანი, კონდიციური ყურძენი. მიმღები პუნქტები სანიმუშოდ უნდა მუშაობდნენ, სწრაფად იღებდნენ მიტანილ ყურძენს და დროულად უსწორდებოდნენ ანგარიშს ჩამბარებლებს.

მიმდინარე წლის აპრილში გურჯაანელმა მევენახეებმა მოწოდებით მიმართეს საქართველოს მევენახეებს გაეჩაღებინათ სოციალისტური შეჯიბრება წელს ყურძნის მოსავლიანობის გასადიდებლად. გურჯაანელთა პატრიოტულმა თაოსნობამ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა. დადგა შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების დრო. წელს რთველი უამინდობის გამო გვიან დაიწყო. ეს ავალებს მევენახეობის რაიონების მშრომელებს ბოლშევიკურად გადალახონ სიძნელე და უნარიანად გამოიყენონ ახლა თვითეული დღე, თვითეული საათიც კი, ხელიდან არ გაუშვან ხელსაყრელი მომენტი და მთელი ძალით იბრძოლონ ყურძნის დამზადების გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

## გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ვილჰელმ პიკს

## გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრს ბატონ ოტო გროტევოლს

ნება მიბოძეთ მოგესალმოთ თქვენ და თქვენი სახით გერმანელ ხალხს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისა და პირველის — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტად, ხოლო მეორის — პრემიერ-მინისტრად არჩევის გამო.

გერმანიის დემოკრატიული მშვიდობისმოყვარე რესპუბლიკის შექმნა მობრუნების პუნქტია ევროპის ისტორიაში. არ შეიძლება დავეჭვდეთ იმაში, რომ მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული გერმანიის არსებობა მშვიდობისმოყვარე საბჭოთა კავშირის არსებობასთან ერთად გამორიცხავს ახალი ომების შესაძლებლობას ევროპაში, ბოლოს უღებს სისხლისღვრას ევროპაში და შეუძლებელს ხდის ევროპის ქვეყნების დამონებას მსოფლიო იმპერიალისტების მიერ.

უკანასკნელი ომის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ამ ომში ყველაზე მეტი მსხვერპლი გაიღეს გერმანელმა და საბჭოთა ხალხებმა, რომ ამ ორ ხალხს ყველაზე მეტი პოტენცია აქვს ევროპაში მსოფლიო მნიშვნელობის დიდი აქციების მოსახდენად. თუ ეს ორი ხალხი გამოიჩენს მტკიცე ნებას იბრძოლონ მშვიდობისათვის თავისი ძალების ისეთივე დაძაბვით, როგორითაც ისინი ომს ეწეოდნენ, მშვიდობა ევროპაში უზრუნველყოფილად შეიძლება ჩაითვალოს.

ამრიგად, ერთიანი დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის საძირკვლის ჩაყრასთან ერთად თქვენ დიდ საქმეს აკეთებთ მთელი ევროპისათვის, უზრუნველყოფთ მისთვის მტკიცე მშვიდობას.

შეგიძლიათ არ დაეჭვდეთ, რომ ამ გზით სვლასა და მშვიდობის საქმის განმტკიცებაში თქვენ შეხვდებით მსოფლიოს ყველა ხალხის, მათ შორის ამერიკელი, ინგლისელი, ფრანგი, პოლონელი, ჩეხოსლოვაკიელი, იტალიელი ხალხების დიდ თანაგრძნობასა და აქტიურ მხარდაჭერას, მშვიდობისმოყვარე საბჭოთა ხალხზე რომ აღარა ვთქვათ რა.

გისურვებთ წარმატებას ამ ახალ, სახელოვან გზაზე.

ცოცხლობდეს და დღეგრძელობდეს ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე გერმანია!

**ი. სტალინი**

1949 წლის 13 ოქტომბერი.

## საბჭოთა კავშირში

### ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიუსტები სმოლნის შენობის წინ

**ლენინგრადი,** 10 ოქტომბერი. (საკდესი). მშრომელთა დეპუტატების ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით სმოლნის ისტორიული შენობის წინ მდებარე ბაღში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავისათვის გრანიტის მასივ კვარცხლბეკებზე დაიდგმება ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დიდი ბელადებისა და ორგანიზატორების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბრინჯაოს დიდი ბიუსტები.

სკულპტურულ სამუშაოებს ასრულებენ ცნობილი ლენინგრადელი მოქანდაკეები, სტალინური პრემიის ლაურეატები ვ. ი. ბოგოლიუბოვი და ვ. ი. ინგალი. ბრინჯაოს სხმულ ბიუსტებსა და კვარცხლბეკებს, აგრეთვე გრანიტის სკამებს ამზადებს ქარხანა „მონუმენტსკულპტურა".

ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიუსტები კეთდება სმოლნის წინ მდებარე ბაღში წინათ დადგმულ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ბიუსტების მსგავსად.

### „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" მეორე გამოცემა ჩუვაშურ ენაზე

**ჩობოკსარი,** 12 ოქტომბერი. (საკდესი). ჩუვაშეთის სახელმწიფო გამომცემლობამ მეორედ გამოსცა ჩუვაშურ ენაზე თარგმნილი „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი".

წიგნი გამოიცა მასობრივი ტირაჟით.

### ფილმი „ივანე პეტრეს-ძე პავლოვი" დედაქალაქის ეკრანებზე

ოქტომბერში მოსკოვის კინოთეატრების ეკრანებზე დაიწყო ახალი სამეცნიერო — პოპულარული ფილმის „ივანე პეტრეს-ძე პავლოვის" ჩვენება. ფილმში შედის დიდი რუსი მეცნიერის სიცოცხლის დროს გადაღებული კადრები.

სურათი ვ. პოპოვის სცენარის მიხედვით გამოუშვა ლენინგრადის სამეცნიერო-პოპულარული ფილმების კინოსტუდიამ. (საკდესი).

### ინდივიდუალური ბინათმშენებლობა სარატოვში

**სარატოვი,** 10 ოქტომბერი. (საკდესი). სარატოვში შენდება 400 ინდივიდუალური სახლი. წელს ქალაქის მშრომელთა 140 ოჯახმა უკვე აიშენა სახლი და იდღესასწაულა დასახლება. საყოველთაო სახალხო დღესასწაულის — დიდი ოქტომბრის 32-ე წლისთავისათვის მშრომელთა რამდენიმე ასეული ოჯახი დაბინავდება თავის ახალ სახლში.

მშენებლებს დიდ დახმარებას უწევს სახელმწიფო. კომუნალური ბანკი მათ უგზავნის 2 მილიონ მანეთზე მეტ სესხს. დიდი ფულადი სესხი ეძლევათ მშრომელებს ინდივიდუალური სარგებლობის სახლების მიმდინარე და კაპიტალური რემონტისათვის.



**მოსკოვი.** სმოლენსკის მოედანზე დაიწყო 27-სართულიანი ადმინისტრაციული შენობის აგება. კარკასის მონტაჟის სამუშაოებს აწარმოებს ტრესტი „სტალკონსტრუქცია". კარკასის დეტალები გაკეთებულია დნეპროპეტროვსკის მოლოტოვის სახელობის ქარხანაში.

**სურათზე:** 27-სართულიანი სახლის მშენებლობა სმოლენსკის მოედანზე.

ფოტო გ. ევზერიხინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

### ორბინიანი სახლი ერთ დღეში შენდება

**კიევი,** 12 ოქტომბერი. (საკდესი). უკრაინის სსრ არქიტექტურის აკადემიის კოლექტივის მიერ შემუშავებული ნაკადურ-ჩქაროსნული მეთოდით დნეპროპეტროვსკში მანქანათმშენებელი მუშებისათვის შენდება ახალი დაბა.

უკრაინის სსრ არქიტექტურის აკადემიის პრეზიდენტმა სტალინური პრემიის ლაურეატმა პროფესორმა ვ. ი. ზაბოლოტნიმ საკდესის კორესპონდენტს განუცხადა:

— იმ მშენებელი ორგანიზაციის კოლექტივთან შემოქმედებითი თანამშრომლობით, რომელიც დნეპროპეტროვსკში ახალ დიდ დაბას აშენებს, უკრაინის სსრ არქიტექტურის აკადემიამ შეიმუშავა 77 ორბინიანი სახლისა და კოტეჯის ტიპური პროექტები. ამავე დროს ჩვენ შევადგინეთ მთელი სამუშაოების ნაკადურ-ჩქაროსნული მეთოდით მოწყობის პროექტი.

მშენებლობაზე შექმნილია 32 ბრიგადა. თვითეული მათგანი ზუსტად გამიჯნულ ოპერაციებს ასრულებს. ვიწრო სპეციალიზაციამ შესაძლებელი გახადა მკვეთრად გაგვედიდებინა შრომის ნაყოფიერება და უკეთ გამოგვეყენებინა მექანიზმები. ამის შედეგად მიღწეულ იქნა ძლიერი ტემპი: 25 სექტემბრიდან ყოველდღე თითო სახლი შენდება.

ამავე დროს მიმდინარეობს ტერიტორიის კეთილმოწყობა — გზების, ქუჩების, ტროტუარების მოასფალტება. თვითეული სახლის კარმიდამოს ამწვანებენ: რგავენ სულ ცოტა 15 ძირ ხეხილს. ქუჩებში მრავალწლიანი ხეები ირგვება.

თვითეული მშენებელი მუშის გამომუშავება საგეგმო დავალების 278 პროცენტს შეადგენს. ერთი სახლის აგებაზე იხარჯება 192 კაც-დღე, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 310 კაც-დღისა.

მშენებელთა და უკრაინის სსრ არქიტექტურის აკადემიის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივმა ვალდებულება იკისრეს ოქტომბრის 32-ე წლისთავისათვის საექსპლოატაციოდ გადასცენ 32 ორბინიანი სახლი.

### გაწვევა საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში

თხუთმეტ ოქტომბერს ჩვენს ქვეყანაში მოხდება სოფლისა და ქალაქის ახალგაზრდობის მორიგი გაწვევა საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებსა და სამთო-სამრეწველო სკოლებში.

საწარმოო კვალიფიკაციის მიღების მსურველი ახალგაზრდობისაგან ათასობით განცხადებაა შეტანილი კრასნოდარის მხარის, მოსკოვის, კალინინის, სტალინგრადის ოლქების სკოლებში. წინასწარი ცნობებით, 39 ოლქსა და რესპუბლიკაში შეტანილია 17 ათასამდე განცხადება. ვლადიმირის, კურსკის, მოსკოვის ოლქებში და მოლდავეთის სს რესპუბლიკაში მთელი რიგი საფაბრიკო-საქარხნო სკოლები უკვე მთლიანად დაკომპლექტებულია.

სკოლების უმეტესობა მზად არის მოსწავლეთა მისაღებად. შეკეთებულია და მოწყობილობით შეივსო სახელოსნოები, კლასები. წესრიგზე მოყვანილია საერთო საცხოვრებლები.

საწარმოებში, კოლმეურნეობებში ეწყობა ლექციები, საუბრები სახელმწიფო შრომითი რეზერვების მნიშვნელობის შესახებ, ახალგაზრდობის პროფესიული სწავლებისა და აღზრდისათვის პარტიისა და მთავრობის მზრუნველობის შესახებ. გაწვევის რაიონებში გაგზავნილია კინოფილმები, რომლებიც ასახავენ მშენებლების, მეტალურგების, მეშახტეების პროფესიებს და ასახავენ შრომითი რეზერვების მოსწავლეთა ცხოვრებას, მათი სწავლის პირობებს. (საკდესი).

### ტაიმირის ნახევარკუნძულის მამონტი

**ლენინგრადი,** (საკდესი). აქ ჩამოვიდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის იმ კომპლექსური ექსპედიციის პირველი რაზმი, რომელიც მუშაობდა ტაიმირის ნახევარკუნძულზე მუდმივი გაყინულობის ზონაში აღმოჩენილი მამონტის ამოთხრასა და შესწავლაზე. ჩამოტანილია მამონტის ჩონჩხის ნაწილები.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული მამონტთა შემსწავლელი კომიტეტის სწავლულმა მდივანმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ვ. ნ. დუბინინმა განაცხადა:

— გასული წლის ივლისში ტაიმირზე, მდინარე მამონტოვაიას ნოლაში მამონტი იპოვნეს. როგორც ექსპედიციის მონაწილეებმა მოახერხეს გამოერკვიათ, მამონტი თავდაპირველად ჩაფლული იყო ტორფის სისქეში მდინარის ფლატო ნაპირზე. მდინარის კალაპოტის შეცვლასთან და ნაპირის ნაწილობრივ ჩამორეცხვასთან დაკავშირებით მოხდა დიდი მეწყერი, რომელმაც მამონტს ადგილი გადაუნაცვლა დაახლოებით ათ მეტრ მანძილზე.

ძველი ცხოველის ამოთხრისას მისი დაფლვის მეორე ადგილზე აღმოაჩინეს ნაშთები მცენარეულობისა, რაც ჩანგრეული ნაპირის მცენარეულობის ანალოგიურია. ამან შესაძლებლობა მისცა მეცნიერებს არა მარტო გამოერკვიათ მამონტის დაფლვის პირველი ადგილი, არამედ კიდეც განესაზღვრათ მამონტის არსებობის დრო. როგორც ექსპედიციის მონაწილეები ფიქრობენ, მამონტი ცხოვრობდა დაახლოებით 5-10 ათასი წლის წინათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ტაიმირის მამონტის ჩონჩხი რბილი ნაწილების, ქონის, ტყავისა და ბალნის ნაშთებიანად განსაკუთრებულ მეცნიერულ ინტერესს წარმოადგენს. იგი ყველაზე უფრო სრულია მათ შორის, რომლებიც ცნობილია მეცნიერებისათვის. გარდა ჩონჩხის ნაწილებისა, ლენინგრადს ჩამოტანილია აგრეთვე ფართო ბოტანიკური კოლექცია, რომელიც შეიცავს ამონათხარი ქონდარა არყისხის ნიმუშებს, ტორფის დიდი ბუჩქების, ტორფის ნაშთებს და სხვ.

## სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

### პოლონეთის მრეწველობის წარმატებანი

**ვარშავა,** 12 ოქტომბერი. (საკდესი). პოლონეთის ყველა კუთხიდან მოდის ცნობები სამწლიანი გეგმის და 1949 წლის გეგმის ვადამდე შესრულების შესახებ.

რაკშავის № 9 საფეიქრო მრეწველობის სახელმწიფო საწარმოთა კოლექტივებმა განაცხადეს, რომ შესრულებული აქვთ სამწლიანი გეგმა. რაკშავის საწარმოებმა სამ წელიწადში 597 ათასი მეტრი ქსოვილი დაამზადეს.

10 სექტემბერს რიბნიცკის ქვანახშირის გაერთიანების შახტმა „იგნაციმ" შეასრულა სამწლიანი გეგმა — ამოიღო 1.715 ათასი ტონა ქვანახშირი.

### შრომითი შეჯიბრება უნგრეთში

**ბუდაპეშტი,** 12 ოქტომბერი. (საკდესი). ბუდაპეშტის საწარმოთა კოლექტივების შრომითი შეჯიბრება უფრო და უფრო ფართოვდება. ჩეპელის კომბინატ „ვეის-მანფრედში" ახლა ინდივიდუალურ შეჯიბრებაში ჩაბმულია 3 ათასი მუშა. გემსაშენ ქარხანა „განცში" ერთმანეთს ეჯიბრება მუშათა მთელი კოლექტივის მეოთხედი. ინდივიდუალურ შეჯიბრებაში ჩაბმულმა მუშებმა მნიშვნელოვნად გააძლიერეს შრომის ნაყოფიერება. ვაგონმშენებელ ქარხანა „განცში" შეჯიბრებაში ჩაბმული ბევრი მუშა ერთიორად და მეტი გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო გეგმებს.

დედაქალაქის საწარმოებში დიდად განვითარდა აგრეთვე მოძრაობა საწარმოო ბრიგადების შესაქმნელად. მაგალითად, მაავის ვაგონმშენებელ ქარხანაში ამ უკანასკნელ კვირეებში შეიქმნა 17 ახალი საწარმოო ბრიგადა, რომელთა წევრებმა მნიშვნელოვნად გაადიდეს შრომის ნაყოფიერება.

### ნოვატორული მოძრაობის გამოფენა უნგრეთში

**ბუდაპეშტი,** 12 ოქტომბერი. (საკდესი). ამას წინათ ბუდაპეშტში გაიხსნა ნოვატორული მოძრაობის გამოფენა, რომელიც გვიჩვენებს ბევრ რამეს, რაც უნგრეთის მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში და ტრანსპორტზე ახლად არის შემოღებული.

სულ გამოფენაზე წარმოდგენილია 2 ათასზე მეტი რაციონალიზატორული სიახლე, მათ შორის უჩვენებენ ლითონის ჩქარი დამუშავების ახალ მეთოდს, რომელიც გადაღებულია საბჭოთა კავშირის სტახანოველთაგან. ლითონდამამუშავებელ მრეწველობაში ამ მეთოდის რეალიზაცია უნგრეთს წელიწადში 100 მილიონი ფორინტის ეკონომიას მისცემს.

მუშა კოკელმა გამოფენაზე წარმოადგინა 13 ნოვატორული წინადადება, რომელთა რეალიზაცია 6 მილიონ ფორინტს დაუზოგავს სახალხო მეურნეობას.

### რაციონალიზატორული მოძრაობა ბულგარეთში

**სოფია,** 12 ოქტომბერი. (საკდესი). წელს ბულგარელ რაციონალიზატორთა და გამომგონებელთაგან მიღებულია 450 წინადადება, რომელთა მეოთხედი უკვე რეალიზებულია. ეს დაზოგავს 4 მილიარდამდე ლევს.

დიდ ღირებულებას შეადგენს ინჟინერ იანი კიშის მიერ წარმოდგენილი სიმინდის გადასამუშავებელი ახალი კონსტრუქციის მანქანა. ბულგარეთის მანქანათმშენებელი მრეწველობის მთავარ სამმართველოს ამჟამად შეკვეთილი აქვს 1.000 ასეთი მანქანა ბულგარეთის სოფლის მეურნეობისათვის. ამ მანქანის დანერგვით წლიურად 350 მილიონი ლევი დაიზოგება.

ქალაქ რუსეს დამკვრელმა რკინიგზელებმა მჭედელმა ვასილ ანგელოვმა და ზეინკალმა დონჩიო ხრისტოვმა სავენტილაციო საფარების დეტალების დამუშავების დროს გამოიყენეს მათ მიერ გაკეთებული მოწყობილობა, რამაც 2,5-ჯერ დააჩქარა დეტალების დამუშავება.

სოფლის მეურნეობაშიც ფართოდ არის განვითარებული რაციონალიზაცია და ნოვატორობა.

დიდი შემოქმედებითი აღფრთოვანებაა მეცნიერ მუშაკებშიც.

მოსკოვი, კრემლი

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

მოგახსენებთ, რომ კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და დამხმარე მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა.

სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება გრძელდება.

კარელია-ფინეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. კუპრიანოვი**

კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ვიროლაინენი**

დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკაში **ბ. ბოგდანოვი**

კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი **ნ. ანხიმოვი**

## პარტიული ცხოვრება

# მზად ვართ ახალი სასწავლო წლის დაწყებისათვის

ახალციხის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა კარგად გაითვალისწინეს პარტიული განათლების სისტემაში გასული სასწავლო წლის მდიდარი გამოცდილება და დროულად შეუდგნენ ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას.

წრეებისა და პოლიტსკოლების [illegible] ტიული აქტივიდან. აქტივმა ადგილზე შეისწავლა წრეებისა და პოლიტსკოლების ჩამოყალიბების შესაძლებლობა. ამასთან გამოარკვიეს გასულ სასწავლო წელს შექმნილი საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელ წრეებსა და პოლიტსკოლებში ჩაბმული კომუნისტების მომზადების დონე და განახორციელეს საჭირო ღონისძიება.

რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა, იხელმძღვანელეს რა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებით იმის შესახებ, რომ ჩვენს რაიონში გასულ სასწავლო წელს პროპაგანდისტთა კადრების შერჩევის საკითხში დაშვებული იყო შეცდომები, თავიდანვე სათანადო ზომები მიიღეს ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად. ამჟამად პროპაგანდისტებად შერჩეული და დამტკიცებული არიან ისეთი კომუნისტები რომლებსაც პროპაგანდისტული მუშაობის სათანადო გამოცდილება აქვთ.

პროპაგანდისტების დასახმარებლად უკვე კარგა ხანია მუშაობს პროპაგანდისტთა სემინარი. [illegible] 5 ჯგუფად და მათში გაერთიანებულია 60 პროპაგანდისტი.

პროპაგანდისტების დასახმარებლად [illegible] ტურის გამოფენა, „პროპაგანდისტის ოთახში" შემოღებულია მორიგეობა. მორიგეები პროპაგანდისტებს ეხმარებიან მათთვის საინტერესო საკითხების გარკვევაში.

ახალ სასწავლო წლიდან მუშაობას დაიწყებენ საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი 34 წრე (მათ შორის ორი უმაღლესი ტიპის) 570 მსმენელით, 12 პოლიტსკოლა — 182 მსმენელით, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი 14 წრე — 202 მსმენელით. წიგნზე დამოუკიდებლად იმუშავებს 506 კომუნისტი, რომელთა დასახმარებლად გამოყოფილია 59 კონსულტანტი.

ჩვენ მზად ვართ ორგანიზებულად დავიწყოთ ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში.

**შ. დარახველიძე**

საქართველოს კ. პ. (ბ) ახალციხის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე

# გასული წლის შეცდომებს არ გავიმეორებთ

ზუგდიდის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა გასული სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში საგრძნობი წარმატებებით დაამთავრეს. განსაკუთრებით კარგად იმუშავეს ბერიას სახელობის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, რაიკოოპკავშირის, ჩარკვიანის სახელობის ზუგდიდის ჩაის საწნეხი ფაბრიკის, სოფლების — დარჩელის, ორსანტიის, ანაკლიის, კახათისა და კორცხელის საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებთან არსებულმა წრეებმა და პოლიტსკოლებმა. მაგრამ პარტიული განათლების ქსელის მუშაობაში იყო ნაკლოვანებებიც. ადგილი ჰქონდა მეცადინეობის ჩაშლის და გადადების შემთხვევებს. ეს ითქმის სოფელ კოკის, ახალკახათის და ნარაზენის საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებთან არსებული წრეებისა და პოლიტსკოლების შესახებ, სადაც გასული სასწავლო წლის დასასრულს, რაღაც თვენახევარი-ორი თვის განმავლობაში 17-18 მეცადინეობა ჩაატარეს. ცხადია, ამ მდგომარეობამ უარყოფითი გავლენა იქონია მსმენელთა მომზადების ხარისხზე.

ანალოგიურ შემთხვევებს სხვაგანაც ჰქონდა ადგილი. იყო პოლიტსკოლების არასწორად დაკომპლექტების ცალკეული შემთხვევებიც. რაიონში 190 მსმენელი არ აღმოჩნდა წრეებში მეცადინეობისათვის მომზადებული და ისინი პოლიტსკოლებშივე იქნენ დატოვებული.

რაიკომის პლენუმმა, რომელიც პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხს მიეძღვნა, სათანადო პრაქტიკული ღონისძიებები დასახა იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რასაც გასულ წელს ჰქონდა ადგილი. პლენუმის დადგენილების განსახორციელებლად დროულად იქნა გადადგმული სათანადო პრაქტიკული ნაბიჯები. პროპაგანდისტები, რომლებმაც მუშაობას თავი ვერ გაართვეს, მომზადებული და კვალიფიციური ამხანაგებით იქნენ შეცვლილი. ჩავატარეთ სამდღიანი მეთოდსემინარი პროპაგანდისტებისათვის. გამოცდილების გაზიარების მიზნით სემინარის მსმენელებს გავაცანით მოწინავე პროპაგანდისტების მუშაობის გამოცდილება.

სერიოზული ყურადღება ექცევა წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისადმი დახმარების საქმეს. მათთვის მარტო უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში 36 ლექცია, 212 ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაცია ჩავატარეთ.

ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ წელს უფრო კარგად მოვაწყოთ კომუნისტების პოლიტიკური სწავლება. კარგად გავითვალისწინებთ გასული წლის გამოცდილებას.

**კ. ეგუტია**

საქართველოს კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე



საუკეთესო პურისმცხობელია თბილისის მეორე პურსაცხობი ქარხნის მოწინავე სტახანოველი ნიკო ეპიტაშვილი, რომელიც სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრომ დააჯილდოვა ქების სიგელით, ხოლო პურის ცხობის მთავარმა სამმართველომ მიანიჭა საუკეთესო ოსტატის სახელწოდება. სურათზე: ნ. ეპიტაშვილი (მარცხნივ) და ა. არევაძე, რომლებიც ჩაბმული არიან საოქტომბრო შეჯიბრებაში და თვიურ დავალებას 180 პროცენტით ასრულებენ.

ფოტო რ. აკოფოვისა.

## საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

# ახალგაზრდობის საოქტომბრო საჩუქრები

**ფოთი.** (საკ. კორ.) ნავსადგურის მეორე საწარმოო რაიონის მტვირთავი ბრიგადა, რომელსაც შ. მოსიძე ხელმძღვანელობს, ორმაგად ასრულებს დატვირთვის გეგმებს. ჩქაროსნული მეთოდით დატვირთვის კარგ შედეგებს აღწევენ კომკავშირელი მეამწეები გ. ალექსანდრია, გ. კორტავა, ს. გვაზავა, ძ. ბერძენი და სხვები.

რკინიგზის კვანძზე მომუშავე ყველა კომკავშირელი ჩაბმულია საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში. სართქლმავლო დეპოს კომკავშირულმა ცვლამ (ხელმძღვანელი ვ. კუპრეიშვილი) ვალდებულება აიღო მიმდინარე წლის გეგმა 7 ნოემბრისათვის შეასრულოს.

მოძრაობის დარგისა და სალიანდაგო დარგის კომკავშირულმა ცვლებმა ივლის-აგვისტოს გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს.

წლიური გეგმის 7 ნოემბრისათვის შესასრულებლად იბრძვიან აგრეთვე სავაგონო დეპოს ახალგაზრდობის გ. ასკურავას კომკავშირული ცვლა, პურკომბინატის მეორე საცხობისა და საკონდიტრო ფაბრიკის ახალგაზრდა სტახანოველები.

# იზრდება პროდუქციის გამოშვება

**ქუთაისი.** (საკ. კორ.). სამრეწველო კომბინატის საწარმოები ოქტომბრის დღესასწაულის წინა დღეებში თვალსაჩინოდ ადიდებენ მზა ნაწარმის გამოშვებას. კომბინატმა 9 თვის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა, გეგმის გადამეტებით 1.250 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა და ქვეყანას მილიონი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება მისცა.

კომბინატის საწარმოთა შორის დაწინაურდნენ მექანიკური (დირექტორი ნ. დარახველიძე), ლიმონადის (დირექტორი ლ. კოკაია) ქარხნები, რომლებმაც განვლილ სამ კვარტალში ათითერთმეტი თვის გეგმები შეასრულეს.

სამრეწველო კომბინატის საწარმოები იბრძვიან 7 ნოემბრისათვის დაამზადონ 17 მილიონი მანეთის პროდუქცია და ამით ვადამდე გაანაღდონ წლიური დავალება.

# წლიური გეგმა 7 ნოემბრისათვის

**ზუგდიდი.** (საკ. კორ.). ჩაის საწნეხი ფაბრიკის კოლექტივმა სამი კვარტალის გეგმა პირველი ოქტომბრისათვის 119,8 პროცენტით შეასრულა. ნაცვლად 1140 ტონისა, გამოშვებულია 1366 ტონა მწვანე აგურა ჩაი. წლიური გეგმა იმავე რიცხვისათვის შესრულებულია 88 პროცენტით.

ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც საოქტომბრო შეჯიბრებაშია ჩაბმული, იკისრა წლიური გეგმა 7 ნოემბრისათვის შეასრულოს და წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით მისცეს ქვეყანას 200 ტონა მწვანე აგურა ჩაის მზა პროდუქცია.

# ყურძნის უხვი მოსავლის რთველში

წელს ყურძნის უხვი მოსავალია თელავის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. გაჩაღდა რთველი. წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში აღფრთოვანებული არიან უმაღლესი ჯილდოთი: მეურნეობაში 8 კაცს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. სოციალისტური შრომის გმირს ბ. ბათიაშვილს წელსაც საუკეთესო მაჩვენებლები აქვს — 12 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 100 ცენტნერ ყურძენს იღებს, დანარჩენი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 60 ცენტნერს. ჯერ არნახულ მოსავალს იწევენ სოციალისტური შრომის გმირები ი. ბოლქვაძე და ლ. არსენიშვილი.

საუკეთესო მაჩვენებლები აქვს ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობას (დირექტორი ა. თვალიაშვილი). კარგად მოვლილმა ვენახებმა უხვი მოსავალი მოგვცეს. სანავარდოს მესამე აგროუბანში გეგმით გათვალისწინებული 51 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე 90-100 ცენტნერ ყურძენს იღებენ, ხოლო ცალკეული სტახანოვური ჰექტარები 120-130 ცენტნერ ყურძენს იძლევა. ამ უბანს წარმატებით ხელმძღვანელობენ აგრონომი ამხ. ავსაჯანიშვილი და ბრიგადირი ამხ. ჯიქურაშვილი. აგროუბანი შეჯიბრებაშია ჩაბმული მეორე აგროუბანთან (აგრონომი ამხ. ლეჟავა), აქ საშუალოდ ჰექტარზე იღებენ 45-50 ცენტნერს, ნაცვლად 35 ცენტნერისა. ბრიგადირი ქ. ხომიზური 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე კრეფს 100-120 ცენტნერ ყურძენს. უხვ მოსავალს იღებენ აგრეთვე ამხ. კაკუნაშვილის, გურგენიშვილის, ათუაშვილის და თევდორაშვილის რგოლები.

საუკეთესო მოსავალს იღებენ აგრეთვე თელავის სამრეწველო კომბინატის [illegible] ლი, მეურნეობის დირექტორი ამხ. ი. სამადაშვილი) მევენახეობის მეურნეობაში. მეურნეობას 96 ჰექტარი ვენახი აქვს. იგი სანიმუშოდ დაამუშავეს და შედეგიც საამაყო აქვთ. თიხნარის უბანში 5,2 ჰექტარი ფართობიდან საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 80,13 ცენტნერი ყურძენი.

ყურძნის უხვი მოსავალია შ. მამუკელაშვილის ბრიგადასა და ვ. ჩაველაშვილის რგოლში. აქ სტახანოვურ ერთ ჰექტარზე 111,6 ცენტნერი ყურძენი მოიწიეს. ვენახის სანიმუშო მოვლით თავი ისახელეს ა. ამირგულაშვილმა და ი. ვარდოსანიძემ. ბელანასფშის უბანში 11,25 ჰექტარი ვენახი ორი წლის წინათ განადგურებული იყო. ამ ვენახის აღდგენაზე დიდი მუშაობა გასწიეს მეურნეობის ხელმძღვანელებმა და წელს თვითეულ ჰექტარზე 49 ცენტნერ ყურძენს კრეფენ, ნაცვლად შარშან მიღებული 20 ცენტნერისა.

მეურნეობის 25 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე იღებენ 100 ცენტნერ ყურძენს, დანარჩენ ფართობზე საშუალოდ მიიღებენ 60 ცენტნერზე მეტს. შარშან მეურნეობამ გეგმა 133 პროცენტით შეასრულა, მარტო პრემიის სახით გასცა 45.000 მანეთი. წელს ვარაუდობენ ყურძნის დამზადების გეგმის 200 პროცენტით შესრულებას.

რთველის პირველი დღეებიდანვე კარგი მუშაობით თავი ისახელა მკრეფავმა ნინო გუიშვილმა. იგი დღეში 500-600 კილოგრამ ყურძენს კრეფს, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 200 კილოგრამისა. ბაბულია მაისურაძე კრეფს 500 კილოგრამს. ასეთივე წარმატება აქვთ ეთერ მამნიაშვილსა და მაშო გილაურს.

„კომუნისტის" გამსვლელი რედაქცია თელავის რაიონში

## ჩვენ გვწერენ

# რემონტი უნდა დაჩქარდეს

არა ერთხელ მივმართეთ მშრომელთა დეპუტატების თბილისის კიროვის რაისაბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს, ვთხოვდით ჩვენი საცხოვრებელი სახლის (მილიციის ქუჩა № 12) შეკეთებას. მაგრამ დღემდე დაპირების მეტი მათგან არაფერი ჩანს. სახლი კი დღითიდღე ფუჭდება. მატულობს კედლების ბზარები, სახურავიდან ბინებში წვიმა ჩამოდის, კარ-ფანჯრები მორყეულია.

ეს საკუთარი თვალით მრავალჯერ ნახეს არა მარტო სახლმმართველმა, არამედ თვით საბინაო სამმართველოს პასუხისმგებელმა მუშაკებმაც. მაგრამ ისინი მობინადრეთა „დამაიმედებელი" დაპირებებით კმაყოფილდებიან.

საჭიროა საბინაო სამმართველომ ყურადღება მიაქციოს ამ მდგომარეობას და, ვიდრე გვიან არ არის და სახლის ყველა ნაწილი არ გამოსულა მწყობრიდან, უზრუნველყონ მისი შეკეთება.

**მობინადრენი: ა. ზედგინიძე, თ. დიასამიძე, ნ. ჩუგინიშვილი, ს. კაკაბაძე, ე. ცინციბაძე.**

## უკანასკნელი ფოსტა

# გაზეთის სათაური

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება გაზეთის სათაურს, მის გაფორმებას, დღიურსა და იმის წარწერას, ვისი ორგანოც არის. არის შემთხვევა, როცა ამას ყურადღება არ ექცევა.

მაგალითად, წალენჯიხის რაიონული გაზეთის სათაური „კომუნიზმის დროშით" — ცუდად არის დახატული. სათაურს აქვს შეუფერებელი ხაზები, დღიური და სხვა წარწერა ჩასმულია შავი და მსხვილი ხაზების ჩარჩოში. ამავე დროს ცუდი ბეჭდვის გამო დათხუპნულია.

გაზეთის სათაურში — „კომუნიზმის დროშით" ასო „ო" ცუდად არის დახატული და „ი"-ს წააგავს. საინტერესოა, რატომ დარჩა ეს შეუმჩნეველი გაზეთის რედაქტორს.

გაზეთის სახელწოდება წარწერილი უნდა იყოს გარკვევით, ნათელი და ლამაზი, ყურადღება უნდა მიექცეს მის გაფორმებას.

## პოლიტსკოლების პროპაგანდისტთა დასახმარებლად

# როგორ მოვაწყოთ მეცადინეობა თემაზე „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია"

თემაზე „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია" პოლიტსკოლის მეცადინეობის ამოცანაა ცხადყოს რუსეთის მუშათა კლასის გამარჯვების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა 1917 წლის ოქტომბერში და ბოლშევიკების პარტიის, რევოლუციის დიდი გენიოსების ლენინისა და სტალინის მაორგანიზებელი, შთამაგონებელი როლი ამ ისტორიულ გამარჯვებაში. ამ ამოცანის სწორად გადასაწყვეტად, პროპაგანდისტი არ უნდა დასჯერდეს ამ პერიოდის ისტორიულ მოვლენათა მარტო თხრობას. პროპაგანდისტის ამოცანაა დაეხმაროს მსმენელებს — გაიგონ ოქტომბრის რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობა მარქსისტულ-ლენინური თეორიის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს დებულებათა ათვისების საფუძველზე. მათ უნდა აითვისონ იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის განვითარების უმაღლესი და უკანასკნელი სტადიის, ლენინური დახასიათება, ომის, მშვიდობისა და რევოლუციის საკითხებში ბოლშევიკური პარტიის თეორიისა და ტაქტიკის საფუძვლები, ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ ლენინურ-სტალინური მოძღვრების საფუძვლები, ნათლად წარმოიდგინონ საბჭოების, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმის, როლი.

მეორე თემის მასალის შესასწავლად სასწავლო გეგმაში განკუთვნილია რვა საათი. ეს დრო მიზანშეწონილია განაწილდეს ოთხ მეცადინეობაზე (ორ-ორი საათი):

**1) პირველი მსოფლიო ომი. ცარიზმის დამხობა;**

**2) ბოლშევიკებს რევოლუცია წინ მიჰყავთ;**

**3) დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და მისი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა;**

**4) ინტერვენტთა და თეთრგვარდიელთა განადგურება.**

* * *

მეორე თემის პირველ თავზე საუბარს პროპაგანდისტი იწყებს XX საუკუნის კაპიტალიზმის ეპოქის დახასიათებით, როცა იგი თავისი განვითარებით ახალ პერიოდში, იმპერიალიზმის პერიოდში შევიდა. ხელმძღვანელი ლაპარაკობს, რომ ვ. ი. ლენინმა თავის შესანიშნავ ნაშრომში „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია", პირველმა აღმოაჩინა იმპერიალიზმის თავისებურებანი, მისი წყლულები და გარდუვალი დაღუპვის პირობები.

პროპაგანდისტი განმარტავს, თუ რა არის კაპიტალისტური მონოპოლიები და როგორ იქნებიან ისინი, და ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითით ცხადყოფს, თუ როგორ უჭირავთ თავიანთ ხარბ ხელში მონოპოლიებს თავიანთი ქვეყნის მთელი ეკონომიკა, როგორ განსაზღვრავენ ამერიკის მთავრობის რეაქციულ აგრესიულ პოლიტიკას.

დიდმა კაპიტალისტურმა მონოპოლიებმა, რომლებსაც სათავეში უდგანან დიუპონი, მორგანი, როკფელერი, მელონი, ხელში ჩაიგდეს არა მარტო ამერიკის მრეწველობის, არამედ სხვა კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგები და ახლა „მარშალის გეგმის" დახმარებით ცდილობენ მთლიანად დაიმორჩილონ დასავლეთ ევროპის ქვეყნები.

პროპაგანდისტი ახასიათებს კაპიტალისტური მონოპოლიების ძირითად მიზნებს და მაგალითებით ცხადყოფს, თუ როგორ ადიდებენ ისინი ხელოვნურად ფასებს, შეგნებულად აბრკოლებენ წარმოების განვითარებას და უახლესი ტექნიკის გამოყენებას დიდი მოგების შენარჩუნების მიზნით. მსმენელებმა ნათელი წარმოდგენა უნდა მიიღონ იმაზე, რომ მონოპოლისტური კაპიტალიზმი არის ლპობადი, მომაკვდავი კაპიტალიზმი. იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ბრძოლას მსოფლიოს გადანაწილებისათვის იმპერიალისტური ომები მოსდევს. მაშასადამე, იმპერიალიზმი უკიდურესობამდე ამწვავებს კაპიტალისტური წყობილებისათვის დამახასიათებელ ყველა წინააღმდეგობას, მიჰყავს პროლეტარიატი რევოლუციამდე. ლენინმა იმპერიალიზმს პროლეტარული რევოლუციის წინადღე უწოდა.

ახასიათებს რა იმპერიალიზმის უმნიშვნელოვანეს წინააღმდეგობებს, პროპაგანდისტი მათ ასურათებს ომისშემდგომი პერიოდის ფაქტებით. მაგალითად, წინააღმდეგობა შრომასა და კაპიტალს შორის შეიძლება ვუჩვენოთ ამხ. ტოლიატიზე ავაზაკური თავდასხმის პასუხად იტალიის მუშათა საყოველთაო გაფიცვის, საფრანგეთის მაღაროელების, ინგლისის დოკერების, ამერიკის შეერთებული შტატების მეშახტეების გაფიცვების მაგალითით. წინააღმდეგობა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის შეიძლება ვუჩვენოთ მსოფლიო ბატონობისათვის იმპერიალისტ მტაცებელთა ბრძოლის ფაქტებით, ამერიკის და ინგლისის იმპერიალიზმს შორის ახლანდელი ბრძოლის ფაქტებით. ერთი მხრივ კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებსა და მეორე მხრივ იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობის ილუსტრაციაა დამოკიდებული და კოლონიური ქვეყნების ჩაგრული ხალხების ფართოდ გაჩაღებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა. პროპაგანდისტი მსმენელთა ყურადღებას უწინარეს ყოვლისა შეაჩერებს ჩინელი ხალხის გმირულ განმათავისუფლებელ ბრძოლაზე, ლაპარაკობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობაზე. (კარგი იქნება გამოვიყენოთ გაზეთ „პრავდის" 1949 წლის 5 ოქტომბრის მოწინავე „ჩინელი ხალხის ისტორიული გამარჯვება"). შემდეგ პროპაგანდისტი ლაპარაკობს ჰოლანდიელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ ინდონეზიის ხალხის ბრძოლაზე, იმ მამაც წინააღმდეგობაზე, რასაც ვიეტნამის ხალხი უწევს ფრანგ იმპერიალისტებს, ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ ინდოეთის ხალხების საუკუნეობრივ ბრძოლაზე. საჭიროა მსმენელებს განვმარტოთ, რომ ამ წინააღმდეგობათა არსებობა როდი ნიშნავს იმას, რომ კაპიტალიზმი თვითონ გაქრება, რის მტკიცებასაც ცდილობენ მუშათა კლასის მოღალატეები — მემარჯვენე სოციალისტები. პროლეტარული რევოლუციის მოუხდენლად, გვასწავლიან ლენინი და სტალინი, არ შეიძლება კაპიტალიზმის დამხობა.

პროპაგანდისტი განმარტავს იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალიზმის უთანაბრო ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების კანონს, რომელიც ლენინმა აღმოაჩინა. მსმენელებს უნდა ვუჩვენოთ, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასის პრაქტიკული ბრძოლისათვის ლენინის დასკვნას იმპერიალიზმის ფრონტის იქ გარღვევის შესაძლებლობის შესახებ, სადაც იგი უფრო სუსტი აღმოჩნდება, თავდაპირველად ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ. ამ ლენინური თეორიის უდიდესი მნიშვნელობა ის არის, რომ იგი „რევოლუციურ პერსპექტივას აძლევს ცალკეული ქვეყნების პროლეტარებს, ავითარებს მათს ინიციატივას თავისი, ნაციონალური, ბურჟუაზიის წინააღმდეგ შეტევის საქმეში, ასწავლის მათ გამოიყენონ ომის ვითარება ასეთი შეტევის მოსაწყობად და განამტკიცებს მათს რწმენას პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისადმი" (საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი. გვ. 221).

შემდეგ პროპაგანდისტი გადადის პირველი მსოფლიო ომის მოვლენების თხრობაზე. ამასთან იგი რუკაზე აჩვენებს იმპერიალისტურ ქვეყნებს, რომლებიც ანტანტის მხარეზე იომდნენ, აგრეთვე ქვეყნებს გერმანიის მეთაურობით, რომლებიც შეადგენდნენ მეორე იმპერიალისტურ ჯგუფს.

პროპაგანდისტი განმარტავს, რომ პირველი მსოფლიო ომი იყო უსამართლო, დამპყრობლური, იმპერიალისტური ომი ორივე მეომარი დაჯგუფების მხრივ და ცხადყოფს, რომ ესერებმა და მენშევიკებმა რუსეთში, ისევე როგორც სოციალ-დემოკრატიულმა პარტიებმა დასავლეთში, უღალატეს პროლეტარიატს და მხარს უჭერდნენ იმპერიალისტებს ომში. მხოლოდ ბოლშევიკები, რომლებსაც სათავეში ედგათ ლენინი და სტალინი, დარჩნენ ერთგულნი სოციალიზმის საქმისა, საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის საქმისა. ისინი ამხილებდნენ ამ ომის დანაშაულებრივ იმპერიალისტურ ხასიათს, მოუწოდებდნენ, რომ იმპერიალისტური ომი გადაქცეულიყო სამოქალაქო ომად.

პროპაგანდისტი აღნიშნავს, რომ მემარჯვენე სოციალისტებმა მეორე მსოფლიო ომშიც გვიჩვენეს თავი როგორც მუშათა კლასის საქმის გამცემლებმა და მოღალატეებმა. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში რეაქციონერი ლეიბორისტი ლიდერები, რომლებიც ინგლისის კოალიციური მთავრობის შემადგენლობაში შედიოდნენ, ჩერჩილთან ერთად ყოველნაირად აჭიანურებდნენ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნას. ეს საზიზღარი პოლიტიკა გათვალისწინებული იყო იმისათვის, რომ დიდ საბჭოთა სახელმწიფოს ძალა გამოეფიტებოდა ომში და ომის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისზე დამოკიდებული აღმოჩნდებოდა. მემარჯვენე სოციალისტები ახლაც უჭერენ მხარს ინგლისელ-ამერიკელ იმპერიალისტთა დანაშაულებრივ ზრახვებს და სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ომის აღვირახსნილ პროპაგანდას ეწევიან.

საუბარში უნდა განიმარტოს პირველ მსოფლიო ომში მეფის არმიის დამარცხების მიზეზები. მსმენელებმა ნათლად უნდა წარმოიდგინონ, თუ როგორ ამწვავებდა ეს უსამართლო ომი და სამეურნეო ნგრევა ხალხის მასების უკმაყოფილებას, როგორ მწიფდებოდა რუსეთში ახალი რევოლუცია.

შემდეგ პროპაგანდისტი ლაპარაკობს 1917 წლის თებერვლის რევოლუციაზე. იგი მსმენელთა ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ თებერვლის რევოლუციის მიზანი იყო ცარიზმის მოშორება, ჩვენს ქვეყანაში ბატონყმობის ნაშთების მოსპობა. ამრიგად, თებერვლის რევოლუციას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათი ჰქონდა. რევოლუციას სათავეში ედგა პროლეტარიატი, რომელიც წინ მიუძღოდა გლეხობას. პროლეტარიატისა და ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობამ უზრუნველყო რევოლუციის გამარჯვება.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შექმნის შესახებ საუბრის დროს პროპაგანდისტი განმარტავს, თუ რატომ აღმოჩნდნენ საბჭოები პირველ ხანებში მენშევიკებისა და ესერების გავლენის ქვეშ, როგორი იყო ორხელისუფლებიანობის მიზეზები თებერვლის რევოლუციის შემდეგ.

თემის პირველ თავზე საუბრისას უწინარეს ყოვლისა საჭიროა გამოირკვეს, თუ რამდენად მტკიცედ შეითვისეს მსმენელებმა იმპერიალიზმის ლენინური დახასიათება. ამასთან ხელმძღვანელი ცდილობს, რომ თეორიული დებულებანი დასურათებულ იქნას მაგალითებითა და ფაქტებით მიმდინარე საერთაშორისო ცხოვრებიდან. შემდეგ საუბარი ვითარდება იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობათა საკითხის გარშემო. განავითარებს რა ამრიგად საუბარს, ხელმძღვანელს მსმენელები მიჰყავს ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ ლენინურ მოძღვრებამდე. პროპაგანდისტის ამოცანა ის არის, რომ მსმენელებმა შეითვისონ ამ გენიალური ლენინური მოძღვრების ძირითადი დებულებანი, რომელმაც შემდგომი განვითარება ჰპოვა ამხანაგ სტალინის შრომებში.

შემდეგ პროპაგანდისტი აყენებს მსმენელების წინაშე საკითხს: რა იყო პირველი მსოფლიო ომის წარმოშობის მიზეზები? ამ საკითხის განხილვამ უნდა ცხადყოს, თუ როგორ ესმით მსმენელებს პირველი მსოფლიო ომის იმპერიალისტური ხასიათი, ბოლშევიკებისა და სხვა პარტიების დამოკიდებულება ომისადმი. შემდეგ საუბარში უნდა გამუქდეს ფრონტზე მეფის ჯარების დამარცხებისა და ზურგში სამეურნეო ნგრევის მიზეზები. საუბარმა მსმენელები უნდა მიიყვანოს იმის ნათელ გაგებამდე, რომ რევოლუცია მშრომელთათვის იყო ერთადერთი გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან. ეს რევოლუცია მოახდინა რუსეთის პროლეტარიატმა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით.

ამის შემდეგ პროპაგანდისტი აყენებს საკითხს: როგორი იყო თებერვლის რევოლუციის მიზნები?

საუბრის დასასრულს უნდა განვიხილოთ საკითხი: რატომ შეიქმნა ორხელისუფლებიანობა თებერვლის რევოლუციის შემდეგ? ეს დაეხმარება მსმენელებს გაიგონ იმ პოლიტიკური ვითარების სირთულე, რომელიც რუსეთში შეიქმნა თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ.

* * *

საუბარი თემის მეორე თავზე მიეძღვნება ბოლშევიკების პოლიტიკასა და ტაქტიკას 1917 წლის თებერვალსა და ოქტომბერს შუა პერიოდში.

პროპაგანდისტი აღნიშნავს, რომ ამხანაგმა სტალინმა გადასახლებიდან პეტროგრადში დაბრუნებისთანავე (1917 წლის 12 მარტი) დაიწყო ბოლშევიკების პარტიის დარაზმვა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურად გადაზრდისათვის, საბჭოების როგორც ხალხის რევოლუციური ხელისუფლების ორგანოების განმტკიცებისათვის საბრძოლველად.

პროპაგანდისტი უამბობს მსმენელებს ლენინის ჩამოსვლის შესახებ 1917 წლის 3 აპრილის ღამეს საზღვარგარეთიდან პეტროგრადში და აცნობს მათ ლენინის ცნობილ აპრილის თეზისებს. იგი აღნიშნავს, რომ ეს თეზისები „იძლეოდნენ გენიალურ გეგმას პარტიის ბრძოლისას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლისათვის, რევოლუციის პირველი ეტაპიდან მეორე ეტაპზე — სოციალისტური რევოლუციის ეტაპზე გადასვლისათვის". (საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი. გვ. 240).

შემდეგ პროპაგანდისტი გადადის ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით ბოლშევიკების ბრძოლაზე მასებისათვის, საბჭოებში უმრავლესობის მოპოვებისათვის. იგი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ როგორ რწმუნდებოდნენ მასები თანდათან, საკუთარი გამოცდილებით, რომ დროებითი მთავრობისაგან ისინი არაფერს არ უნდა ელოდნენ, რომ ერთადერთი პარტია, რომელიც ხალხის ინტერესებს იცავს, ბოლშევიკების პარტიაა.

პიტერის მუშების მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვრეტა 1917 წლის 3 ივლისს, „პრავდის" რედაქციის შენობის დარბევა, „პრავდისა" და სხვა ბოლშევიკური გაზეთების დახურვა, ბრძანება ლენინის დაპატიმრების შესახებ — ყოველივე ეს მოწმობდა დროებითი მთავრობის ცდებს ჩაეხშო რევოლუცია. პროპაგანდისტი განმარტავს, რომ დროებითი მთავრობის ამ ნაბიჯებმა ბოლო მოუღეს ორხელისუფლებიანობას. დროებითი მთავრობა, რომელშიც მაშინ შედიოდნენ მენშევიკებისა და ესერების — მშრომელთა ამ უბოროტესი მტრების წარმომადგენლები, დაეშვა აშკარა იმპერიალიზმისა და კონტრრევოლუციის ჭაობში. მთელი ძალაუფლება გადავიდა დროებითი მთავრობის ხელში, ხოლო საბჭოები მათი ესერულ-მენშევიკური ხელმძღვანელობით დროებითი მთავრობის დანამატად გადაიქცნენ. ასეთ პირობებში პარტია იძულებული იყო ფარულ მუშაობაზე გადასულიყო და დაეწყო მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის, რათა დაემხო ბურჟუაზიის ხელისუფლება და დაემყარებინა საბჭოთა ხელისუფლება.

ლენინი, რომელიც ივლისის დღეების შემდეგ ფარულად მუშაობდა, ერთი წუთითაც არ წყვეტდა თავის საქმიანობას პარტიის მოსამზადებლად შეიარაღებული აჯანყებისათვის, სოციალისტური რევოლუციისათვის. მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან, ამხანაგ სტალინთან, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ცენტრალურ კომიტეტსა და პარტიის ცენტრალურ ორგანოს, რომელიც იმ დროს სხვადასხვა სახელწოდებით გამოდიოდა („მუშა და ჯარისკაცი", „პროლეტარი", „მუშა", „მუშის გზა"). სტალინმა პარტიისათვის, ჩვენი ხალხისათვის, მთელი კაცობრიობისათვის გადაარჩინა ლენინის ძვირფასი სიცოცხლე, როცა გადაჭრით წინაღუდგა გამცემლების კამენევის, რიკოვის, ტროცკის წინადადებას—გადაეცათ ლენინი კონტრრევოლუციური დროებითი მთავრობის სასამართლოსათვის.

შემდეგ პროპაგანდისტი ლაპარაკობს ჩვენი პარტიის ისტორიულ VI ყრილობაზე, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების ყრილობა იყო, ვ. ი. ლენინს, რომელიც პარტიამ დაუმალა დროებითი მთავრობის მძებრებს, არ შეეძლო დასწრებოდა ყრილობას, მაგრამ იგი ხელმძღვანელობდა მას არალეგალობიდან. ამხანაგმა სტალინმა, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ყრილობის მუშაობას, მტკიცედ და გადაჭრით წაიყვანა ყრილობა ლენინური გზით.

პირველი საკითხი, რომელიც დაწვრილებით უნდა გაირჩეს საუბარში თემის მეორე თავის გარშემო, ეს არის საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ გააჩაღა ბრძოლა ბოლშევიკების პარტიამ ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცილისწამებისა და ფალსიფიკაციის წინააღმდეგ

## ა. ი. ვიშინსკის სიტყვა გენერალური ასამბლეის სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში 1949 წლის 11 ოქტომბერს

### 1. ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები თავიანთ აგენტურას იცავენ

[illegible] ...რიდან მიღებული სიგნალით, დაიწყო ლაშქრობა, რომელსაც თან სდევდა სიცრუის, ცილისწამების, ფაქტების ფალსიფიკაციის ალვირახსნილი კამპანია, რასაც ფარავდნენ ფარისევლური ყვირილით ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, რომლებიც თითქოს ფეხქვეშ ითელებოდა ამ ქვეყნებში. ამ ცდას — შენიღბონ ინგლის-ამერიკის რეაქციული წრეების მიერ ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთის წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის ნამდვილი აზრი — ზოგიერთი დელეგაცია ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის დელეგაციების მეთაურობით განაგრძობს აქაც, გენერალურ ასამბლეაზე, სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში. ისინი გულმოდგინედ ცდილობენ მისცენ თავიანთ წამოწყებას კეთილშობილური სახე, თავი გაასაღონ ადამიანის უფლებათა უანგარო დამცველებად, თავისუფლებისა და დემოკრატიის დამცველებად. ისინი ცდილობენ ასეთი მანევრებით ჩამოაშორონ საზოგადოებრიობის ყურადღება თავიანთ ნამდვილ მიზნებს, თავიანთ ნამდვილ გეგმებს, რომლებსაც სინამდვილეში საერთო არა აქვთ რა ადამიანის უფლებათა დაცვასთან, რაც გამოგონილია თვალის ასახვევად.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლებმა აქ გამართეს ლათაიები ისეთ მაღალფარდოვან რამეებზე, როგორიცაა „ცივილიზაციის ინტერესები", „ჩვეულებრივი ადამიანურობა" და სხვ., რაც თითქოს აიძულებს ინგლისისა და ამერიკის მთავრობებს ინტერესით მოეკიდონ ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთის საქმეებს. თავიანთი ნამდვილი მიზნებისა და გეგმების უკეთ შესანიღბავად ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლები ცდილობენ თავიანთი ბრალდებანი ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთის წინააღმდეგ უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევაში დაუკავშირონ ბრალდებებს მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის საფრთხის შექმნაში, საზავო ხელშეკრულებათა და საერთაშორისო ვალდებულებათა დარღვევაში.

ეს მათ ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთის საქმეებში ჩარევის შესაფერ საბაბად მიაჩნიათ.

ჩვენ შევეცდებით ქვემოთ ცხადვყოთ, რომ სინამდვილეში არც ბულგარეთის მთავრობას, არც უნგრეთის მთავრობას, არც რუმინეთის მთავრობას საზავო ხელშეკრულებანი ოდნავაც არ დაურღვევიათ, რომ, პირიქით, ეს მთავრობები განსაკუთრებული სიზუსტით, კეთილსინდისიერებითა და გულმოდგინებით ასრულებენ საზავო ხელშეკრულებათა მოთხოვნებს, და ეს მიუხედავად იმისა, რომ პეტკოველთა, ცარანისტთა, სალაშისტთა და სხვ. ტიპის ყველა ჯურის პროვოკატორები და ვიგინდარები ყოველნაირად ცდილობენ ჩაშალონ ზემოაღნიშნულ ქვეყნებში ახალი სახალხო-დემოკრატიული წყობილების შესაქმნელად წარმოებული შემოქმედებითი მუშაობა.

ჩვენ შევეცდებით ცხადვყოთ, რომ მთელი საკითხი საზავო ხელშეკრულებათა შესახებ და ამ ხელშეკრულებათა ვითომც დარღვევის შესახებ ყურით არის მოთრეული, ყურით მოთრეულია სპეციფიკური მიზნებით, რის შესახებაც ალბათ, წამოსცდა ბ-ნ შოუკროსს, რომელმაც აქ წარმოთქვა მრავალმნიშვნელოვანი ფრაზა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ძალის შესახებ, რის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება სასწრაფოდ დავარწმუნოთ სათანადო მთავრობები არსებულ სიძნელეთა აღმოფხვრის აუცილებლობაშიო. ადვილი მისახვედრია, თუ რას ნიშნავს აღმოფხვრა ამ „სიძნელეებისა", რომლებიც, როგორც ცნობილია, წარმოიშვნენ იმის გამო, რომ აღნიშნულ მთავრობებს არა სურთ დაუმორჩილონ თავიანთი ქვეყნების ინტერესები ამერიკის მონოპოლისტური კაპიტალის ინტერესებს, რომელიც თავგამოდებულად ცდილობს შეიჭრას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და სცადოს უზრუნველყოს იქ თავისთვის ისეთივე მდგომარეობა, როგორც, მაგალითად, ინგლისში, საფრანგეთში ან თურქეთში. აქ უნდა ვეძებოთ ახსნა ინგლის-ამერიკის მთელი პოლიტიკისა ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთის მიმართ, პოლიტიკისა, რომელიც დღეიდან როდი წარმოებს, არამედ ძველისძველი პოლიტიკაა.

ცნობილია, რომ საკითხი ბულგარეთში, უნგრეთსა და რუმინეთში ადამიანის უფლებათა ეგრეთ წოდებული დარღვევის შესახებ წამოიჭრა ამ ქვეყნების ისტორიაში ისეთი განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტთან დაკავშირებით, როგორიცაა ისეთი რეაქციული ანტიხალხური ჯგუფების დამხობა და პოლიტიკური გაკოტრება, როგორიც იყვნენ ნიკოლა პეტკოვ-ლულჩევის ჯგუფი ბულგარეთში, ნად ფერენცის, მინდსენტისა და კომპანიისა უნგრეთში, იულიუ მანიუსა და ბრატიანუს ოჯახისა რუმინეთში და სხვ., ჯგუფებისა, რომლებიც მჭიდროდ დაკავშირებული იყვნენ ინგლის-ამერიკის მონოპოლისტურ კაპიტალთან და ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის რეაქციულ ჯგუფებთან, რომლებიც ამ კაპიტალის ინტერესებს წარმოადგენდნენ. ჩვენ გვახსოვს, თუ რა აზარტით, რა თავგამოდებით იცავდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობები ამ ჯგუფებს, რომლებზეც ისინი ამყარებდნენ თავიანთ უკანასკნელ იმედს, ჩვენ გვახსოვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობები ჯერ კიდევ 1945 წელს ცდილობდნენ შეეყვანათ ნ. პეტკოვისა და ლულჩევის ჯგუფის წარმომადგენლები სამამულო ფრონტის მთავრობაში, ხოლო მანიუ-ბრატიანუს ჯგუფის წარმომადგენლები დოქტორ პეტრუ გროზას მთავრობაში.

ამ ჯგუფების ინგლისელ-ამერიკელ მფარველთა და ისტორიის სანაგვე ორმოში გადაყრილ ისეთ ვაჟბატონთა გეგმა, როგორიც იყვნენ დოქტორი გიემეტო (ბულგარეთი), გენერალი რადესკუ, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ვიშოიანუ და სხვ. (რუმინეთი), ნად ფერენცი და კომპანია (უნგრეთი), იმაში მდგომარეობდა, რომ ეხსნათ ეს ჯგუფები საბოლოო განადგურებისა და მხილებისაგან, დახმარებოდნენ მათ და მათი ხელშეწყობით უზრუნველეყოთ თავიანთთვის ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთის ცხოვრებაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა.

მაგრამ ასეთი გეგმის ავტორები ანგარიშში მოტყუვდნენ. მიუხედავად ყველა ღონისძიებისა, მიუხედავად თავიანთი აგენტურის მობილიზაციისა და აქტივიზაციისა, მიუხედავად მზადყოფნისა — განეხორციელებინათ თავიანთი გეგმა პეტკოვ-მანიუ-რაიკის ხროვის მოსყიდულ შეთქმულთა შეიარაღებული ხელით, ეს გეგმა ჩაიფუშა ბულგარელი, უნგრელი და რუმინელი ხალხების სიფხიზლისა და თავიანთი სამშობლოსადმი ერთგულების შედეგად, რომლებმაც ამხილეს და დასაჯეს მტრები.

ბულგარეთში, უნგრეთსა და რუმინეთში ნ. პეტკოვისა და სხვათა სასამართლო პროცესები სერიოზული ლახვრის ჩაცემა იყო იმ უცხოელ ავანტიურისტთა ხრიკებისათვის, რომლებსაც უყვართ სხვის მიწა-წყალზე ხეტიალი და რომლებსაც, რუსული ანდაზისა არ იყოს, შურიანი თვალი და მომხვეჭელი ხელი აქვთ... ამ პროცესებმა გამოააშკარავეს ბულგარეთში პეტკოველების, ხოლო უნგრეთსა და რუმინეთში მათი მონათესავე ჯგუფების შავი ღალატის ფესვები. ამ პროცესებმა ცხადყვეს, თუ რაოდენ დაეცნენ ეს ადამიანები, რომლებიც აგრეთვე მეტწილად „სოციალისტებს" უწოდებდნენ თავს, ისევე როგორც აქ უწოდებდნენ თავს ზოგიერთი ორატორები, რომლებიც სინამდვილეში სოციალიზმისა და დემოკრატიის გამცემლები, თავიანთი ხალხის მოღალატეები არიან.

მაგრამ ამ სასამართლო პროცესებმა ცხადყვეს არა მარტო ამ ადამიანების ღალატი. პროცესებმა მთელი მსოფლიოს წინაშე გამოააშკარავეს ამ მხილებულ დამნაშავეთა მფარველების ვერაგული გეგმები. ამ პროცესებმა დაგვანახვეს და დაამტკიცეს, რომ ამერიკისა და ინგლისის მონოპოლისტური წრეები არ შერიგებიან და არ სურთ შეურიგდნენ აღმოსავლეთ ევროპაში თავიანთი აგენტურის დაკარგვას, რომ მათ იარაღი არ დაუყრიათ და შემდეგშიც არ ფიქრობენ დაყარონ ეს იარაღი ამ ქვეყნებში სახალხო-დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ ისინი კვლავ და კვლავ შეეცდებიან განახორციელონ თავიანთი გეგმები, რომელთა მთავარი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ სცადონ დაუმორჩილონ ეს ქვეყნები თავიანთ ეკონომიურ და პოლიტიკურ გავლენას, რათა უკარნახონ მათ თავიანთი პირობები, თავიანთი მოთხოვნები.

აი, ბატონებო, სად უნდა ვეძებოთ, ჩვენი აზრით, მტკიცე და მრავალ ფაქტზე დაყრდნობილი ახსნა იმ გარემოებისა, რომ გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში გაჩნდა საკითხი ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთის მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ვითომც დარღვევის შესახებ.

1945 წელს ინგლის-ამერიკის იმ პოლიტიკის ჩაშლამ, რომელიც მიმართული იყო იქითკენ, რომ თავიანთთვის უზრუნველეყოთ საჭირო გავლენა ბულგარეთისა და რუმინეთის მთავრობებზე ამ მთავრობათა შემადგენლობაში ეგრეთ წოდებული ლოიალური ოპოზიციური ჯგუფების წარმომადგენელთა შეყვანის გზით, ამ ჩაშლამ გამოიწვია ამ ჯგუფების არალეგალური ძირგამომთხრელი საქმიანობის გაძლიერება. ბრძოლის ლოგიკას თავისი გაჰყავდა, როგორც ეს ყოველთვის ხდება ასეთ შემთხვევაში, ამ ჯგუფების წარმომადგენლები და თვით ეს ჯგუფები საფეხურიდან საფეხურზე ეშვებოდნენ ამ ქვეყნების კანონიერ სახალხო მთავრობებთან ბრძოლის უფსკრულში, იყენებდნენ დივერსიებს, საბოტაჟს, ტერორს, შეთქმულებებს, კანონიერ მთავრობათა ძალდატანებით დამხობის მომზადებას. ეს ჯგუფები მოქმედებდნენ თავხედურად და უტიფრად, დარწმუნებულნი თავიანთ ძლიერ მფარველთა მხრივ დაცვასა და დახმარებაში. ხალხის მიერ უარყოფილნი, ისინი თავზეხელაღებულად მოქმედებდნენ.

შეცდნენ. ანგარიშში მოტყუვდნენ. ანგარიშში მოტყუვდნენ ისინიც, ეს ჯგუფები და ანგარიშში მოტყუვდნენ მათი მაღალი, ძლიერი მფარველებიც.

უცხოელ მფარველთა მიერ დაჩქარებამ და უხვმა ფულადმა საჩუქრებმა ვერ გასჭრა, ისევე როგორც ვერ გასჭრა იმის ცდებმა, რომ ბულგარეთში, უნგრეთსა და რუმინეთში კანონიერ ხელისუფალთა წარმომადგენლები დაეშინებინათ იმის მუქარით, რომ გამოიყენებდნენ „მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს", რათა დამსახურებული სასჯელისაგან ეხსნათ მოღალატეები, ჯაშუშები, ტერორისტები და შეთქმულები. მთელი მსოფლიოს თვალწინ ჩაიარა ბულგარეთში, უნგრეთსა და რუმინეთში ამ მოღალატეთა სასამართლო პროცესებმა.

ყველაზე შარიანმა კრიტიკანებმაც კი ვერაფერს მოსდეს შარი. მოწმეებმა, დოკუმენტებმა, ნივთიერმა მხილებებმა, ბრალდებულთა აღიარებამ, რაც საჯარო სასამართლოში მოხდა მთელი მსოფლიოს თვალწინ, — ყოველივე ამან სრული დამაჯერებლობით დაადასტურა მსჯავრდადებულთა დანაშაული და სასამართლო განაჩენთა სამართლიანობა. სპეციალურმა ინგლისელმა და ამერიკელმა მეთვალყურეებმაც კი, რომლებიც ამ პროცესებს ესწრებოდნენ, მთელი თავიანთი ოსტატობის მიუხედავად, ერთი მცირე შავი ლაქაც კი ვერ ნახეს.

მაშინ დაიწყო დიპლომატიური იერიში. გაჩნდა ნოტები, რომლებშიც ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებმა ყვირილი ატეხეს, ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ ამ პროცესებისათვის, ცდილობდნენ გამოეყვანათ თავიანთი მხილებული აგენტურა ნამდვილ დემოკრატებად, ასე ვთქვათ, წმინდა წყლის დემოკრატებად, ხოლო სახალხო დემოკრატიის ქვეყნები — ბულგარეთი, უნგრეთი, რუმინეთი — რაღაც საშინელ ჯოჯოხეთად, სადაც არც ადამიანური ურთიერთობაა, არც ადამიანური უფლებანი, არ არსებობს არავითარი თავისუფლება, არავითარი დემოკრატია. სწორედ ამ დროს გაჩნდა ბრალდებები ამ ქვეყნების მიერ საზავო ხელშეკრულებათა, საერთაშორისო ვალდებულებათა დარღვევის შესახებ, რასაც უნდა გაეხსნა პირდაპირი გზა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და საერთაშორისო სასამართლოსაკენ.

რაც შეეხება საერთაშორისო სასამართლოს — ახლავე ვიტყვი ამის შესახებ, — სამი დელეგაციის — კანადის, ბოლივიისა და ამერიკის შეერთებული შტატების და მათთვის მხარის დამჭერის ინგლისისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის დელეგაციების წინადადებანი, უნდა ვაღიაროთ, ამ სასამართლოს ფრიად არასახარბიელო როლს აკუთვნებენ. ჩანს, რომ კანადაც, ბოლივიაც, ამერიკის შეერთებული შტატებიც და ინგლისიც უფრო და უფრო იხრებიან იქითკენ, რომ საერთაშორისო სასამართლო მიიჩნიონ სახელმწიფო დეპარტამენტის ან ფორეინ ოფისის უბრალო განყოფილებად. მეტად არასახარბიელო მდგომარეობაა საერთაშორისო სასამართლოსათვის. ისე არ მოხდეს, რომ დაგვჭირდეს საერთაშორისო სასამართლოს დაცვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ინგლისელ-ამერიკელ-ბოლივიელ დამცველთაგან!

### 2. ინგლის-ამერიკის ბლოკის ჩარევა ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის საშინაო საქმეებში ყალბ ბრალდებათა საფარით

რაში მდგომარეობენ ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთისათვის წაყენებული ბრალდებანი?

ამ ქვეყნებს თურმე ბრალს სდებენ საზავო ხელშეკრულებათა და კერძოდ იმ ნაწილთა დარღვევაში, რომლებიც ითვალისწინებენ ამ სახელმწიფოთა მოვალეობას — უზრუნველყონ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა. როგორც დამამტკიცებელ საბუთს, ბრალმდებელნი იმოწმებენ უწინარეს ყოვლისა ზემოხსენებულ სასამართლო პროცესებს. მაგრამ მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ამ პროცესებს არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ რუმინეთთან საზავო ხელშეკრულების მე-3 მუხლთან, ან ბულგარეთთან და უნგრეთთან საზავო ხელშეკრულებათა მე-2 მუხლებთან, ვინაიდან ეს მუხლები ოდნავადაც არ არიან განკუთვნილნი იმისათვის, რომ სამშობლოს წინააღმდეგ, სახელმწიფოსა და თავისი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობანი, და, კერძოდ, ისეთი დანაშაული, როგორიცაა ღალატი, ჯაშუშობა, შეთქმულებანი და სხვა, ასეთი მძიმე დანაშაულობანი დაუსჯელი რჩებოდეს იმ საფუძველზე, რომ საზავო ხელშეკრულება შეიცავს მუხლს, რომელიც იცავს ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, რომ საზავო ხელშეკრულებაში არის მუხლი, რომელიც წარმოადგენს ხვრელს იმ ქვეყნის წინააღმდეგ დამნაშავეთათვის, რომელმაც ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას.

ასეთ მსჯელობათა უაზრობა თავისთავად ცხადია. იგი მით უფრო ცხადი ხდება, რომ ხელშეკრულებებში არის განსაკუთრებული მუხლები (მუხლი 5 რუმინეთის ხელშეკრულებაში, მუხლი 4 ბულგარეთისა და უნგრეთის ხელშეკრულებებში), რომლებიც პირდაპირ ავალებენ სათანადო მთავრობებს იბრძოლონ ფაშისტური ტიპის ორგანიზაციების წინააღმდეგ; ამ მუხლებში პირდაპირ არის ნათქვამი: პოლიტიკური, სამხედრო, გასამხედროებული, აგრეთვე სხვა ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც ეწევიან საბჭოთა კავშირისადმი ან ყოველი სხვა გაერთიანებული ერისადმი მტრულ პროპაგანდას და მიზნად ისახავენ მისი ხალხისათვის დემოკრატიული უფლებების წართმევას. მაგრამ განა სწორედ ასეთი ფაშისტური ორგანიზაციები არ იყვნენ ეს დანაშაულებრივი ჯგუფები პეტკოველებისა, მანისტებისა და სხვა ამგვარი დამნაშავეებისა, რომლებიც შეიპყრეს და ამხილეს და რომლებსაც მსჯავრი დასდო სასამართლომ?

ამიტომ ყოველი ობიექტური ადამიანისათვის ნათელი უნდა იყოს, რომ ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთისათვის ბრალის დადება საზავო ხელშეკრულებათა დარღვევაში უხეში ფალსიფიკაციაა, რომ ასეთი ბრალდება სავსებით ხელოვნურია, გამართლებული არ არის არავითარი ფაქტიური გა-

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

---

სათვის, როგორი იყო ლენინის აპრილის თეზისების ისტორიული მნიშვნელობა.

მეორე საკითხია 1917 წლის აპრილ-ივნისში მასებისათვის ბოლშევიკების ბრძოლის საკითხი.

მომდევნო საუბარში გარჩეულ უნდა იქნას საკითხი, თუ როგორ შეიცვალა ვითარება ივლისის დემონსტრაციის შემდეგ და რატომ დამთავრდა ორხელისუფლებიანობა.

დასასრულ, საუბარში ყურადღება უნდა მიექცეს საკითხს პარტიის VI ყრილობის როლისა და მნიშვნელობის შესახებ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებაში. პროპაგანდისტი მსმენელთა ყურადღებას მიაპყრობს ამხანაგ სტალინის სიტყვებს იმის შესახებ, რომ სწორედ რუსეთი იქნება ის ქვეყანა, რომელიც გზას გაჰკაფავს სოციალიზმისაკენ. მსმენელებმა ნათლად უნდა წარმოიდგინონ ამ ყრილობაზე ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ ამხანაგ სტალინის ისტორიული გამოსვლის შინაარსი, ამხანაგ სტალინის, როგორც ლენინის უახლოესი თანამებრძოლის როლი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

* * *

პროპაგანდისტი გააცნობს მსმენელებს მოვლენებს, რომლებიც წინ უსწრებდნენ დიდი ოქტომბრის რევოლუციას და მათ ყურადღებას მიაქცევს ბოლშევიკური პარტიის სწრაფად მზარდ ძალას, პარტიისა, რომელსაც მიჰყვებოდნენ რუსეთის მშრომელი ხალხის ფართო მასები და რომელიც რევოლუციის გადამწყვეტი ძალა იყო. ბოლშევიკების პარტიის ავტორიტეტის ზრდას თან სდევდა მენშევიკებისა და ესერების გავლენის დაცემა, რომლებსაც მასებმა ზურგი შეაქციეს. ამას მოწმობს ბოლშევიკების მიერ უმრავლესობის მოპოვება პეტროგრადის, მოსკოვისა და ბევრ სხვა საბჭოებში. ყოველივე ეს მოწმობდა, რომ მომწიფდა მომენტი ძლევამოსილი შეიარაღებული აჯანყებისათვის.

პროპაგანდისტი ლაპარაკობს, თუ როგორ გაბედულად და რწმენით, მტკიცედ და წინდახედულად მოქმედებდნენ რევოლუციის დიდი გენიოსები ლენინი და სტალინი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორგანიზატორები და სულისჩამდგმელები. პროპაგანდისტი ლაპარაკობს ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1917 წლის 10 (23) ოქტომბრის ისტორიულ სხდომაზე, ზინოვიევის, კამენევის, ტროცკის გამცემლურ ცდებზე ეხსნათ ბურჟუაზია დაღუპვისაგან და ჩაეშალათ რევოლუციის საქმე.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ სხდომაზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამი იყო: აღიარებს რა, „რომ შეიარაღებული აჯანყება აუცილებელია და სავსებით მომწიფებულია, ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს პარტიის ყველა ორგანიზაციას იხელმძღვანელონ ამით და ამ თვალსაზრისით განიხილონ და გადაწყვიტონ ყველა პრაქტიკული საკითხი" (საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, გვ. 266-267). შეიარაღებული აჯანყების მომზადებასა და პრაქტიკულ ჩატარებას უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამხანაგი სტალინი, რომელიც სათავეში ედგა აჯანყების ხელმძღვანელ პარტიულ ცენტრს.

ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების მიმდინარეობაზე საუბრისას პროპაგანდისტი მსმენელთა ყურადღებას მიაპყრობს მუშების, მატროსების, ჯარისკაცების გმირობას, თავდადებასა და რევოლუციურ შეგნებას, რომლებიც ოქტომბრის იერიშზე მიდიოდნენ ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით. პროპაგანდისტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლენინი და სტალინი პირადად ხელმძღვანელობდნენ ძალაუფლებისათვის მასების შეიარაღებულ ბრძოლას და ამ გარემოებამ უზრუნველყო გამარჯვება.

შემდეგ პროპაგანდისტი განმარტავს საბჭოების მეორე ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მნიშვნელობას საბჭოებისათვის მთელი ძალაუფლების გადაცემის შესახებ, აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტების მნიშვნელობას — ზავის შესახებ, მიწის შესახებ. საბჭოთა ხელისუფლებამ მიწა ჩამოართვა მემამულეებს და გადასცა გლეხების სარგებლობაში, გამოაცხადა მთელი მიწა საყოველთაო-სახალხო სახელმწიფოებრივ საკუთრებად. საბჭოთა ხელისუფლებამ შემოიღო რვასაათიანი სამუშაო დღე საწარმოებში და დაამყარა წარმოებისადმი მუშათა კონტროლი. ბანკები, რკინიგზები, სავაჭრო ფლოტი სახელმწიფოს გადაეცა. ამის შემდეგ ნაციონალიზებულ იქნა მსხვილი მრეწველობა. საბჭოთა ხელისუფლების ეს ღონისძიებანი შეესაბამებოდნენ მშრომელთა უაღრესად ფართო მასების სასიცოცხლო ინტერესებს, მათ რუსეთი გამოჰყავდათ ისტორიული განვითარების ახალ გზაზე, სოციალიზმის გზაზე, ისინი საფუძველს უყრიდნენ ჩვენი სამშობლოს ხალხების მტკიცე კავშირს.

პროპაგანდისტი აღნიშნავს, რომ ოქტომბრის რევოლუციამ იხსნა ჩვენი სამშობლო უცხოეთის მონობისაგან, კოლონიური დამოკიდებულებისაგან, დაიცვა ჩვენი ხალხის თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

დასასრულ პროპაგანდისტი ჩერდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობაზე.

საუბრის ამ ნაწილში დიდი მნიშვნელობა აქვს ნათლად ვუჩვენოთ მსმენელებს ოქტომბრის რევოლუციის პრინციპული განსხვავება ყველა წინა რევოლუციისაგან, რომლებიც მშრომელთა ექსპლოატაციის ერთ ფორმას მხოლოდ ცვლიდნენ მეორე ფორმით, თვით ექსპლოატაცია კი რჩებოდა. მხოლოდ დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაამხო ყველა ექსპლოატატორი და მიზნად დაისახა მოესპო ყოველგვარი ექსპლოატაცია და ყველა და ყოველგვარი ექსპლოატატორი და მჩაგვრელი.

ოქტომბრის რევოლუცია, — წერდა ამხანაგი სტალინი, — „ნიშნავს ძირეულ გარდატეხას კაცობრიობის ისტორიაში, ძირეულ გარდატეხას მსოფლიო კაპიტალიზმის ისტორიულ ბედიღბალში, ძირეულ გარდატეხას მსოფლიო პროლეტარიატის განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ძირეულ გარდატეხას მთელი მსოფლიოს ექსპლოატირებულ მასათა ბრძოლის წესებსა და ორგანიზაციის ფორმებში, ყოფაცხოვრებასა და ტრადიციებში, კულტურასა და იდეოლოგიაში". (სტალინი. „ლენინიზმის საკითხები", მე-11 გამოც. გვ. 221-222).

ოქტომბრის რევოლუციამ დაამტკიცა, რომ სოციალიზმი დამყარდება პროლეტარიატის დიქტატურის, დამხობილი ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგობის ულმობელ ჩახშობის გზით. საბჭოთა კავშირის გამოცდილებამ ცხადყო, რომ ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებულ მშრომელებს თვითონ შეუძლიათ წარმატებით აშენონ თავიანთი ცხოვრება, მართონ ქვეყანა და განავითარონ სახალხო მეურნეობა უკაპიტალისტებოდ და უმემამულეებოდ. ოქტომბრის რევოლუციამ ბოლომდე ამხილა შეთანხმებელ პარტიათა ყალბი თეორია იმის შესახებ, რომ შესაძლებელია სოციალიზმის აშენება კლასობრივი ბრძოლის გარეშე, ბურჟუაზიასთან თანამშრომლობით.

თემის ამ ორ თავზე საუბარი უნდა დაიწყოს იმის გამორკვევით, თუ რამდენად სწორად და ნათლად აქვთ წარმოდგენილი მსმენელებს პოლიტიკური ვითარება ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის წინ და შეიარაღებული აჯანყების მომზადების მიმდინარეობა. ამის შემდეგ პროპაგანდისტი მსმენელთა განსახილველად აყენებს საკითხს: რამ უზრუნველყო შეიარაღებული აჯანყების წარმატება 1917 წლის ოქტომბერში? ამ საკითხზე მსმენელთა აზრის შეჯამებისას პროპაგანდისტი ამბობს, რომ ბოლშევიკური პარტიის, მისი დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობა იყო ძალაუფლებისათვის ბრძოლაში აღმდგარი მასების წარმატების გარანტია. სკოლის მსმენელებს საუბრის შემდეგ უნდა დარჩეთ არა მარტო ნათელი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა შეიარაღებული აჯანყება პეტროგრადში, არამედ იმის ღრმა შეგნებაც, რომ ოქტომბრის აჯანყებაში უმაგალითო სიძლიერით გამოვლინდა ბოლშევიკების პარტიის სიბრძნე და მამაცობა, მისი უნარი უხელმძღვანელოს მასების რევოლუციურ ბრძოლას.

განაგრძობს რა საუბარს, პროპაგანდისტი წინადადებას აძლევს მსმენელებს განიხილონ საბჭოების II ყრილობის, საბჭოთა მთავრობის შექმნის და საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტების ისტორიული მნიშვნელობის საკითხი.

საუბრის დასკვნით ნაწილში საჭიროა განხილულ იქნას საკითხი იმის შესახებ, თუ როგორია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისათვის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის და იმპერიალისტების მიერ ჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის.

მსმენელებს სასწავლო მასალის შეთვისებაში დაეხმარება საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის თვალსაჩინო ხელსაწყოთა ალბომების, აგრეთვე ამა თუ იმ ადგილას რევოლუციური მოძრაობის ისტორიის მასალების გაცნობა. კარგია, თუ სკოლის ხელმძღვანელი მოაწყობს მსმენელთათვის კინოფილმის „ლენინი ოქტომბერში" და დოკუმენტური ფილმის „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის" კოლექტიურ განხილვას.

* * *

საუბარს ინტერვენტთა და თეთრგვარდიელთა განადგურების შესახებ პროპაგანდისტი იწყებს იმის აღნიშვნით, რომ საბჭოთა ხელისუფლებას პირველი დღეებიდანვე გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს ძველი სამყაროს ყველა კონტრრევოლუციურმა ძალებმა: კაპიტალისტთა და მემამულეთა დამხობილმა კლასებმა, კულაკობამ, მენშევიკების, ესერების, ანარქისტების განადგურებულმა წვრილბურჟუაზიულმა პარტიებმა, ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა, თეთრგვარდიელმა გენერლებმა და ოფიცრებმა, ძველმა მეფის მოხელეებმა და სხვებმა.

პროპაგანდისტი ლაპარაკობს ტროცკისა და ბუხარინის გამცემლურ როლზე, რომლებმაც ჩაშალეს გერმანიასთან საზავო მოლაპარაკება და მოაწყეს ჩვენს სამშობლოზე გერმანელ იმპერიალისტთა შემოტევა. ჩვენი ქვეყნის ფარგლებში გერმანული დივიზიების შემოჭრა მოწყობილ იქნა იმ მიზნით, რომ დამხობილიყო საბჭოთა ხელისუფლება, ჩვენი ქვეყანა გადაქცეულიყო გერმანელ იმპერიალისტთა კოლონიად. ლენინი და სტალინი ამ მძიმე დღეებში მიმართავდნენ ხალხს, აღნიშნავდნენ, რომ სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია და მოუწოდებდნენ მშრომელებს თავდადებულად დაეცვათ ოქტომბრის მონაპოვარნი.

გერმანიასთან ზავის დადებამ (ბრესტის ზავი) პარტიას შესაძლებლობა მისცა დრო მოეგო საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად, წითელი არმიის შესაქმნელად, ჩვენი ქვეყნის მეურნეობის წესრიგზე მოსაყვანად.

გარეშე და შინაური მტრებისაგან საბჭოთა რესპუბლიკის დაცვის საქმეში უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იყო ლენინისა და სტალინის მიერ მუშურ-გლეხური წითელი არმიის შექმნა. პროპაგანდისტი აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების იმპერიალისტებმა რუსეთის კონტრრევოლუციურ ძალებთან ერთად მიზნად დაისახეს საბჭოთა ხელისუფლების დამხობა. ამისათვის ისინი აწყობდნენ აჯანყებებს, აწყობდნენ ტერორს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეთა წინააღმდეგ, დაიწყეს ინტერვენცია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა პუნქტში, გააჩაღეს სამოქალაქო ომი. ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკაზე უცხოეთის ურდოების თავდასხმის ორგანიზატორი იყო უინსტონ ჩერჩილი — საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ახალი ომის გამჩაღებელი.

პროპაგანდისტი რუკაზე უჩვენებს იმ ქალაქებსა და ოლქებს, რომლებიც დროებით დაიპყრეს უცხოელმა ინტერვენტებმა და მოკლე მიმოხილვას უკეთებს საომარ მოქმედებას სამოქალაქო ომის ფრონტებზე. იგი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ წითელი არმიის უმნიშვნელოვანეს გამარჯვებათა უშუალო სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო სტალინი. ყველგან, სადაც ფრონტებზე წყდებოდა რევოლუციის ბედი, პარტია გზავნიდა ამხანაგ სტალინს, იგი იყო უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული გეგმების შემქმნელი, იგი ხელმძღვანელობდა გადამწყვეტ საბრძოლო ოპერაციებს. „ცარიცინთან და პერმთან, პეტროგრადთან და დენიკინის წინააღმდეგ, დასავლეთით პანების პოლონეთის წინააღმდეგ, სამხრეთით ვრანგელის წინააღმდეგ — ყველგან სტალინის რკინისებური ნებისყოფა და სტრატეგიული გენია უზრუნველყოფდა რევოლუციის გამარჯვებას" (იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი. მოკლე ბიოგრაფია. გვ. 81-82).

თავისი საუბრის მეორე ნაწილში პროპაგანდისტი განმარტავს ჩვენს ქვეყანაში სამხედრო კომუნიზმის შემოღების აზრსა და ისტორიულ აუცილებლობას, ურომლისოდაც საბჭოთა ხელისუფლება ვერ გაიმარჯვებდა სამოქალაქო ომში.

შემდეგ პროპაგანდისტი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ თეთრგვარდიელებზე და ინტერვენტებზე გამარჯვებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი პარტიის სწორ პოლიტიკას საშუალო გლეხობის მიმართ. მუშათა კლასის კავშირი მშრომელ გლეხობასთან მუშათა კლასის ხელმძღვანელობით კოლჩაკზე, დენიკინზე, ვრანგელზე გამარჯვების საფუძველი იყო.

საუბარი უნდა დამთავრდეს იმის განმარტებით, თუ რა იყო მრავალრიცხოვან, კარგად შეიარაღებულ და აღჭურვილ მოწინააღმდეგეებზე წითელი არმიის გამარჯვების მიზეზები. პროპაგანდისტის ამოცანა ის არის, რომ უჩვენოს მსმენელებს წითელი არმიის პრინციპული განსხვავება ყველა სხვა არმიისაგან, უჩვენოს მისი თავისებურებანი. საჭიროა მსმენელებმა შეიგნონ, რომ წითელი არმია ხალხის პირმშოა, რომ მის მებრძოლებსა და მეთაურებს ნათლად ესმოდათ ომის მიზნები, რომ წითელი არმიის წარმატებანი ემყარებოდა მტკიცე ზურგს. თეთრგვარდიელთა და ინტერვენტთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლა ყველა ქვეყნის მუშათა მხარდაჭერასა და თანაგრძნობას პოულობდა.

დასასრულ, პროპაგანდისტი განმარტავს პარტიისა და პროლეტარიატის დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის გადამწყვეტ როლს სამოქალაქო ომის წლებში გამარჯვების მოპოვების საქმეში.

თემის მეხუთე თავზე საუბრის დაწყებისას პროპაგანდისტი მსმენელთა განსახილველად აყენებს საკითხს, თუ როგორ მოაწყო პარტიამ ბრძოლა შინაურ კონტრრევოლუციასთან და გერმანელ იმპერიალისტთა ინტერვენციასთან საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველ თვეებში. შემდეგ უნდა გამოირკვეს, თუ როგორ დაიწყო ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების იმპერიალისტთა სამხედრო ინტერვენცია. ამასთან მსმენელებმა უნდა შეითვისონ, რომ სამოქალაქო ომი დაიწყეს ოქტომბრის რევოლუციით დამხობილმა ექსპლოატატორულმა კლასებმა — კაპიტალისტებმა და მემამულეებმა. მათ აფრთოვანებდნენ და მხარს უჭერდნენ ინტერვენციის ორგანიზატორები — გერმანელი და ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის იმპერიალისტები ახლაც გამხეცებული არიან ღვარძლით სოციალისტური სახელმწიფოსადმი, ამზადებენ ახალ სასაკლაოს, ამზადებენ ახალ ლაშქრობას ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ.

ამის შემდეგ ხელმძღვანელი განსახილველად აყენებს საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ გაანადგურეთ ჩვენ ანტანტის სამი ლაშქრობა. მსმენელებმა უნდა შეითვისონ, რომ ინტერვენტებსა და თეთრგვარდიელ გენერლებს ჩვენი სამშობლოსათვის მოჰქონდათ უცხოური მონობა, ისინი ცდილობდნენ აღედგინათ ძველი, კაპიტალისტური წესები, რომ კოლჩაკის, დენიკინის, ვრანგელისა და თეთრ პოლონელთა განადგურება ლახვარი იყო არა მარტო შინაური კონტრრევოლუციის, არამედ საერთაშორისო რეაქციის ძალებისადმი. შემდეგ ხელმძღვანელი აყენებს და მსმენელებთან არჩევს საკითხს, თუ რატომ დაამარცხა წითელმა არმიამ თავისი მრავალრიცხოვანი მტრები. ამ საკითხის დაწვრილებით გარჩევა მსმენელებს დაეხმარება უფრო ღრმად გაიგონ, რომ სამოქალაქო ომში ჩვენი არმიის ისტორიული გამარჯვებანი ბოლშევიკების პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობის შედეგია.

საუბრის დასასრულს პროპაგანდისტი აჯამებს მსმენელთა დამოუკიდებელი მუშაობის შედეგებს, აღნიშნავს, თუ როგორ აითვისა თემის მასალა თვითეულმა მსმენელმა, აძლევს მათ რჩევას როგორ აღმოფხვრან ნაკლოვანებანი.

**ვ. გოლცევი**

ლიტერატურა

**პოლიტსკოლების პროპაგანდისტებისათვის თემაზე „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია" მეცადინეობისათვის მოსამზადებლად.**

ვ. ი. ლენინი — იმპერიალიზმი როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია. თხზ., ტ. 22, გამოც. მე-4.
ვ. ი. ლენინი — მოცემულ რევოლუციაში პროლეტარიატის ამოცანების შესახებ. თხზ., ტ. 24, გამოც. მე-4.
ვ. ი. ლენინი — მარქსიზმი და აჯანყება. თხზ., ტ. 21, გამოც. მე-3.
ვ. ი. ლენინი — ოქტომბრის რევოლუციის მეოთხე წლისთავისათვის. თხზ., ტ. 27, გამოც. მე-3.
ი. ბ. სტალინი — ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ტაქტიკა, თხზ., ტ. 6.
ი. ბ. სტალინი — ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო ხასიათი. თხზ., ტ. 10.
ლენინი ვლადიმერ ილიას-ძე. ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე ნარკვევი. 1942 წ. გამოცემა, გვ. 143-254.
იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი. მოკლე ბიოგრაფია. გვ. 55-83.
საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, თავები VI და VII.

# ცილისწამებისა და ფალსიფიკაციის წინააღმდეგ

## ა. ი. ვიშინსკის სიტყვა გენერალური ასამბლეის სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში 1949 წლის 11 ოქტომბერს

(გაგრძელება)

რემოებით, რომ ეს მხოლოდ მომიზეზებაა, საბაბია, რომელიც მთელი ამ საქმის ინგლისელ-ამერიკელ ინიციატორებს მეტად მოხერხებულად ეჩვენებათ იმისათვის, რომ წყალი აამღვრიონ და საზოგადოების ყურადღება ჩამოაშორონ ინგლის-ამერიკის აგენტურის, ყველა ამ ფილდების, ჩეპინების, ბერრებისა და კომპანიის პროვოკაციულ ძირგამომთხრელ საქმიანობას ამ ქვეყნებში. ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობები ყოველნაირად ცდილობენ, რომ სამი აღნიშნული ქვეყნის მიერ საზავო ხელშეკრულებათა დარღვევის საკითხი გადაწყვეტილ იქნას იმ პროცედურის წესით, რომელიც გათვალისწინებულია ბულგარეთთან საზავო ხელშეკრულების 36-ე მუხლით, რუმინეთთან საზავო ხელშეკრულების 38-ე მუხლით და უნგრეთთან საზავო ხელშეკრულების მე-40 მუხლით. ისინი ამტკიცებენ, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს დავასთან, და რომ ეს დავა გადაწყვეტილ უნდა იქნას ამ მუხლებში აღნიშნული პროცედურის შესაბამისად. ჩვენ კატეგორიულად წინააღმდეგი ვართ იმისა, რომ აქ აღიარებულ იქნას რაიმე დავის არსებობა საზავო ხელშეკრულების აზრით, და არა ობივატელური აზრით. მართლაც და, ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ საკმარისია რომელიმე ერთი სახელმწიფოს წარმომადგენელმა განაცხადოს — სადავოდ მიმაჩნია რომელიმე გარემოებაო, რომ ავტომატურად ამოქმედდნენ ზემოაღნიშნული საზავო ხელშეკრულებების 36, 38 და 40 მუხლები! ასეთი მდგომარეობა სრულიად გამორიცხულია. იგი სავსებით ეწინააღმდეგება ამ მუხლების იურიდიულ აზრს. ეს აშკარად გამომდინარეობს საზავო ხელშეკრულებათა თვით ტექსტიდან, სადაც აღნიშნულია, რომ ყველა საკითხში, რომლებიც ეხება საზავო ხელშეკრულებათა შესრულებასა და განმარტებას, ამერიკის შეერთებული შტატების, საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა, როგორც საზავო ხელშეკრულებათა სათანადო მუხლებშია ნათქვამი, შეთანხმებულად უნდა იმოქმედონ. მე ვთხოვ კომიტეტის წევრებს ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას: ყველა შემთხვევაში, როცა საქმე ეხება ხელშეკრულებათა განმარტებას ან შესრულებას, — ნათქვამია ბულგარეთთან, უნგრეთთან და რუმინეთთან საზავო ხელშეკრულებებში, — სამივე სახელმწიფომ შეთანხმებულად უნდა იმოქმედოს. თუ ასეთი შეთანხმება არ არის, შეუძლებელია რაიმე მოქმედება საზავო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პროცედურის წესით.

ამ საქმეში ასეთი შეთანხმება არ არის, ვინაიდან საბჭოთა კავშირი არა ცნობს დავის არსებობასა და დარღვევის არსებობას. დავა არ არის. მეოთხე სახელმწიფოს მიმართ სამი სახელმწიფოს შეთანხმებული მოქმედება არ არის. მაშ რა შუაშია აქ უნგრეთის [illegible]

[illegible]

შეეცადნენ დაემახინჯებინათ სამართლისა და კანონის ცნება. მაშასადამე, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული პროცედურის გამოყენების ცდები წარმოადგენენ წესდების ისეთ აშკარა დარღვევას, რომ ამის გამო საჭირო არ არის კონსულტაციისათვის მივმართოთ საერთაშორისო სასამართლოს. ეჭვი არ მეპარება, რომ საერთაშორისო სასამართლო უარყოფს მისგან ასეთი კონსულტაციის მიღების ამ პრეტენ-

ზიებს. აქვე საჭიროა ყურადღება მივაქციოთ კიდევ ერთ გარემოებას, რომელიც შეიძლებოდა მიგვეღო უხეირო ანეგდოტად, იგი რომ ფაქტი არ იყოს.

ბოლივიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის პროექტში, როგორც სათანადო დოკუმენტიდან შეგვიძლია დავრწმუნდეთ, არის მე-3 და მე-4 კითხვები საერთაშორისო სასამართლოსათვის. მე-3 კითხვას მხედველობაში აქვს შემთხვევა, როცა ერთ-ერთი მხარე არ დანიშნავს თავის წარმომადგენელს ბულგარეთთან, უნგრეთთან და რუმინეთთან საზავო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ კომისიაში. მე-4 კითხვა ჩამოყალიბებულია ასე:

„4. ხელშეკრულებებით გათვალისწინებული კომისია, რომელიც შედგება ერთი მხარის წარმომადგენლებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მიერ დანიშნული მესამე წევრისაგან, იქნება თუ არა კომისია ხელშეკრულებათა სათანადო მუხლების აზრის თანახმად და კომპეტენტური იქნება თუ არა დავის მოსაგვარებლად გამოიტანოს საბოლოო და სავალდებულო გადაწყვეტილება?“. ამ კითხვაში რა წინადადებაა წამოყენებული? აქ წამოყენებულია წინადადება, რომ არბიტრაჟი შედგებოდეს ორი მხარისაგან და მასში მონაწილეობას არ იღებდეს ბრალდებული მხარე. აქ წამოყენებულია წინადადება მოეწყოს ისეთი არბიტრაჟი, როცა იქნება ბრალმდებელი და მოსამართლე, მაგრამ არ იქნება ბრალდებული მხარე. ამ მე-4 კითხვაში საერთაშორისო სასამართლოს წინადადება ეძლევა სანქცია მისცეს ისეთ კომისიას, რომელიც შედგენილი იქნება არა სამი მხარისაგან — ორი დაინტერესებული მხარისა და არბიტრისაგან, — არამედ მხოლოდ ერთი დაინტერესებული (ბრალმდებელი) მხარის წარმომადგენლისა და არბიტრისაგან და რომ ამ კომისიამ გადაწყვიტოს მთელი საკითხი. და ამას ეწოდება არბიტრაჟი, მაგრამ ეს არის არბიტრაჟის დამახინჯებული ცნება, ვინაიდან არბიტრაჟში წარმოდგენილი უნდა იყოს ორი მხარე, და არა ერთი მხარე, როგორც ამის წინადადებას კანადა-ბოლივია-ამერიკის რეზოლუციის პროექტი იძლევა. მე-4 კითხვაში უნდათ წინასწარვე გადაწყვიტონ, რომ თუ რუმინეთი, უნგრეთი და ბულგარეთი უარს იტყვიან მონაწილეობა მიიღონ ამ კომისიაში, შეიძლება საკითხი უიმათოდაც გაირჩეს და მიღებულ იქნას გადაწყვეტილება. ორი მხარისაგან შედგენილი ეს კომისია პლუს არბიტრი ბოლივიის, შეერთებული შტატებისა და კანადის სურვილით გადაიქცევა ერთი მხარისა და არბიტრისაგან შედგენილ კომისიად და ამას ეწოდება არბიტრაჟი! განა ეს სამართლისა და სამართლიანობის დამახინჯება არ არის?

ამრიგად, საერთაშორისო სასამართლოსაგან მოელიან დადებით პასუხს იმ კითხვაზე, შეიძლება თუ არა, რომ კომისია, რომელიც უნდა შედგებოდეს ორი მოდავე მხარის წარმომადგენლე- [illegible]

[illegible] დაგვაყენებინონ საერთაშორისო სასამართლოს წინაშე? საერთაშორისო სასამართლოს არავითარ პატივს არ უნდა სცემდე, რომ იმის იმედი გქონდეს, რომ საერთაშორისო სასამართლო განსახილველად მიიღებს ასეთ კითხვას, რომელიც საზავო ხელშეკრულებისა და იურიდიული ლოგიკის აბუჩად აგდებას წარმოადგენს.

(გაგრძელება იქნება)

# ვილჰელმ პიკი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტია

## დროებითი პარლამენტის სხდომა

### მილიონიანი დემონსტრაცია ბერლინში

ბერლინი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ბერლინში შედგა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი სახალხო პალატისა და მხარეთა დროებითი პალატის გაერთიანე- [illegible]

[illegible] ნიის დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველობის იმ ფუნქციების გადაცემის შესახებ, რაც დღემდე საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციას ეკუთვნოდა.

იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით მმართველობის ფუნქციები აღმოსავლეთ ზონაში გერმანელთა ხელში გადავიდა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითმა პარლამენტმა მიიღო

კანონი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობისათვის ხელისუფლების გადაცემის შესახებ.

შემდეგ პარლამენტი შეუდგა გერმანიის დე- [illegible]

[illegible] მართული ვრცელი სიტყვა.

საღამოს გერმანიის დედაქალაქ ბერლინში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტად ვილჰელმ პიკის არჩევის აღსანიშნავად გაიმართა მილიონიანი დემონსტრაცია. დემონსტრანტებს მიჰქონდათ ხალხთა ბელადის ი. ბ. სტალინისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვილჰელმ პიკის პორტრეტები.

# შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობა

ბერლინი, 12 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ბერლინში შედგა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი სახალხო პალატის მესამე სხდომა.

დროებითი სახალხო პალატის პრეზიდიუმმა წინადადება შეიტანა და დეპუტატებმა ერთსულოვნად მოიწონეს სხდომის შემდეგი დღის წესრიგი.

1. პრემიერ-მინისტრის ცნობა მთავრობის შემადგენლობის შესახებ.
2. პრემიერ-მინისტრის განცხადება მთავრობის პროგრამის შესახებ.
3. კამათი დღის წესრიგის პირველ და მეორე პუნქტებზე.
4. მთავრობის შემადგენლობის დამტკიცება და მთავრობის პროგრამის მოწონება.

დროებითი სახალხო პალატის პრეზიდენტმა დიკმანმა გამოაქვეყნა კონსტიტუციის 92-ე და 94-ე მუხლები, რომლებიც განსაზღვრავენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ჩამოყალიბების წესს.

ამის შემდეგ სიტყვა ეძლევა პრემიერ-მინისტრ ოტო გროტევოლს. ოტო გროტევოლმა თავისი სიტყვის დასაწყისში შემდეგი განაცხადა:

„გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი სახალხო პალატის დაწესების დღეს, ამა წლის 7 ოქტომბერს, პალატის უძლიერესმა ფრაქციამ — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ფრაქციამ ჩემი კანდიდატურა წამოაყენა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრის პოსტზე. პალატის პრეზიდენტის სურვილის შესაბამისად დაუყოვნებლივ შევუდექი მოლაპარაკებას ამ მაღალი პალატის ყველა ფრაქციასთან მთავრობის ჩამოყალიბების შესახებ. ყველა ფრაქციის სურვილმა და ნებამ — მონაწილეობა მიიღონ გერმანიის დემოკრატიული [illegible]

[illegible]

სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის მინისტრი ერნსტ გოლდენბაუმი (გლეხთა დემოკრატიული პარტია).

საგარეო ვაჭრობისა და მატერიალური უზრუნველყოფის მინისტრი გეორგ ჰანდკე (გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია),

ვაჭრობისა და მომარაგების მინისტრი დოქტორი კარლ ჰამანი (ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია),

შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ლუიტპოლდ შტაიდლე (ქრისტიან დემოკრატთა კავშირი),

ტრანსპორტის მინისტრი პროფესორ-ინჟინერი ჰანს რაინგრუბერი (უპარტიო),

ფოსტისა და კავშირგაბმულობის მინისტრი ფრიც ბურმაისტერი (ქრისტიან დემოკრატთა კავშირი),

აღდგენის მინისტრი დოქტორი ლოტარ ბოლცი (სახალხო დემოკრატიული პარტია),

სახალხო განათლების მინისტრი პაულ ვანდელი (გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია).

იუსტიციის მინისტრი მაქს ფეხნერი (გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია).

მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ პრემიერ-მინისტრთან დაინიშნება სტატს-მდივანი ისევე, როგორც ყველა სამინისტროსთან დაინიშნებიან სტატს-მდივნები, რომლებიც პარლამენტის სხვადასხვა ფრაქციებს წარმოადგენენ.

მას შემდეგ, რაც დროებით სახალხო პალა-

ტას წარუდგინა მთავრობის შემადგენლობა, პრემიერ-მინისტრმა გროტევოლმა პალატის დეპუტატების წინაშე წაიკითხა განცხადება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პროგრამის შესახებ.

პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის ჩამოყალიბება წარმოადგენს გერმანელი ხალხის დემოკრატიული ძალების ურყევი ნების გამოხატულებას — გადალახონ ეროვნული უბედურება და თვითონ განაგონ საკუთარი ბედი. ამ მთავრობის ჩამოყალიბება გამოხატავს ფაქტს, რომ გერმანელი ხალხის დემოკრატიული ძალები არ აპირებენ შეურიგდნენ სამშობლოს გათიშვას და მისი დასავლეთი ოლქების დამონებას, არამედ, პირიქით, გამსჭვალული არიან რკინისებური ნებით — მტკიცედ იბრძოლონ დემოკრატიულ და მშვიდობიან საფუძველზე გერმანიის ერთიანობისა და მისი სუვერენიტეტის აღდგენისათვის.

ოტო გროტევოლმა მთავრობის განცხადების პირველი ნაწილი მიუძღვნა გერმანიის მიმართ დასავლეთი მაოკუპირებელი სახელმწიფოების პოლიტიკას, სისტემატური გათიშვის პოლიტიკას, რამაც თავისი დაგვირგვინება ჰპოვა ბონის სეპარატული სახელმწიფოს შექმნით. პრემიერ-მინისტრი აღნიშნავს, რომ პოტსდამის შეთანხმებისადმი მტრული პოლიტიკით დასავლეთ სახელმწიფოებს არ შეეძლოთ და არ შეუძლიათ, რასაკვირველია, დაეყრდნონ გერმანელი ხალხის დემოკრატიულ და პროგრესულ ძალებს, რომელთაც სურთ ერთიანი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანია. სწორედ ამიტომ დასავლეთი სახელმწიფოები ფუშავდნენ თავიანთ ზონებში დემილიტარიზაციისა და დემოკრატიზაციის განხორციელებას, ხელი შეუშალეს მსხვილი კაპიტალისტური მონოპოლიების მოსპობას და დასავლეთ გერმანიის [illegible]

[illegible] მძლავრი ბანაკის მხრივ, რომელსაც დიდი საბჭოთა კავშირი მეთაურობს.

არმიის გენერალ ჩუიკოვის მიერ 1949 წლის 10 ოქტომბერს გამოქვეყნებული საბჭოთა მთავრობის განცხადება, — თქვა მან, — ადასტურებს მეგობრობისა და მშვიდობის საბჭოთა პოლიტიკის თანმიმდევრულობას. ეს განცხადება ნიშნავს შემობრუნებას გერმანიის ისტორიაში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით პრემიერ-მინისტრი ოტო გროტევოლი მადლობას უცხადებს საბჭოთა კავშირს იმისათვის, რომ მან გერმანელ ხალხს მიანიჭა საკუთარი სახელმწიფოებრიობის უფლება. დარბაზში გაისმის მქუხარე ტაში. განსაკუთრებულ მადლობას, — განაგრძობს ოტო გროტევოლი, — ჩვენ ვუცხადებთ საბჭოთა მთავრობის მეთაურს გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს. ტაში პალატის დარბაზში ოვაციად იქცევა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის საგარეოპოლიტიკური პროგრამის დაწვრილებით ჩამოყალიბების შემდეგ პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტევოლმა თავისი განცხადების დასკვნითი ნაწილი მიუძღვნა მთავრობის პროგრამას საშინაო პოლიტიკის დარგში.

დროებითი სახალხო პალატის 12 ოქტომბრის საღამოს სხდომაზე დაიწყო პარლამენტის კამათი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ოტო გროტევოლის მთავრობის განცხადების გამო.

# „ბოლო მოვუღოთ სიღატაკის, რეაქციისა და ომის პოლიტიკას“

## მორის ტორეზის გამოსვლა

პარიზი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, ქალაქ მიულუზში (ზემო რაინის დეპარტამენტი) შედგა მიტინგი, რომელსაც 15 ათასი კაცი დაესწრო. მიტინგის მონაწილეები მოითხოვდნენ დემოკრატიული ერთიანობის მთავრობის შექმნას. მიტინგზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა მორის ტორეზმა. მის გამოჩენას ტრიბუნაზე შეხვდნენ ხანგრძლივი ტაშითა და შეძახილებით: „გაუმარჯოს ტორეზს!“.

ტორეზი თავდაპირველად შეჩერდა დალადიეს მიუნხენის გამცემლურ პოლიტიკაზე, რამაც ომი გამოიწვია, და ამ ომის მძიმე შედეგებზე, და განაცხადა:

დღეს ჩვენს ქვეყანას იგივე საფრთხე მოელის, და როგორც მიუნხენის დროს, მხოლოდ ჩვენ, კომუნისტები, ვიძლევით გაფრთხილებას ამ საფრთხის გამო. ჩვენი ქვეყანა უკვე ჩაუგდეს ხელში ჰიტლერს მიუნხენელებმა და ვიშელებმა, რომლებმაც უარი განაცხადეს ელზასსა და ლოტარინგიაზე მესამე რაიხის სასარგებლოდ. იმ დროს ამის წინააღმდეგ გამოვიდა მხოლოდ ჩვენი პარტია, რომელიც არალეგალურად მუშაობდა. ბატონ შუმანს, რომელიც მზის სინათლეზე ვიშის მთავრობამ გამოიყვანა, არც კი უფიქრია პროტესტი განეცხადებინა. ამჟამად მიუნხენელები ჩვენს ქვეყანას ხელში უგდებენ ამერიკის იმპერიალიზმს. „მარშალის გეგმა“ და ატლანტიკის ხელშეკრულება ჩვენი ქვეყნის კოლონიზაციის საშუალებაა. ამტკიცებენ, რომ „მარშალის გეგმა“ ხელს უწყობს საფრანგეთის აღორძინებას, ფინანსების განმტკიცებასა და მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებასო. ფაქტები საწინააღმდეგოს მოწმობენ.

მაგრამ „მარშალის გეგმით“, — ხაზგასმით [illegible]

[illegible]

დანაცვლება მოხდეს კაბინეტში. საქმე ეხება არა იმას, რომ დაინიშნოს ვინმე ქიულ მოკი, რაც მუშათა კლასისადმი მიმართული პროვოკაციული გამოწვევა იქნებოდა. საქმე ეხება იმას, რომ შეიცვალოს პოლიტიკა, ბოლო მოეღოს სიღატაკის, რეაქციისა და ომის პოლიტიკას, რომელიც ნაკარნახევია ამერიკის კაპიტალიზმის მიერ. საქმე ეხება იმას, რომ განხორციელდეს პროგრესის, თავისუფლების, მშვიდობისა და უშიშროების ფრანგული პოლიტიკა და ამ მიზნით შეიქმნას დემოკრატიული ერთიანობის მთავრობა.

ჩვენ არაერთგზის განვუცხადებია რესპუბლიკის პრეზიდენტისათვის: არ შეიძლება საფრანგეთი აღდგენილ იქნას, თუ ამ საქმეში მონაწილეობა არ მიიღეს მუშათა კლასმა და მისმა კომუნისტურმა პარტიამ, არ შეიძლება იმოქმედოთ კომუნისტების ან მათ თანამგრძნობთა წინააღმდეგ, სხვანაირად რომ ვთქვათ, საფრანგეთის მესამედი მოსახლეობის წინააღმდეგ.

მორის ტორეზმა ჩამოაყალიბა მომავალი მთავრობისათვის რეკომენდებული, 11 მუხლისაგან შემდგარი პროგრამა კომუნისტური პარტიისა და განაგრძო:

დემოკრატიული ერთიანობის მთავრობა — აი როგორია მოთხოვნა, გამოხატული რეზოლუციებით, რომლებიც მიღებულია ასობით და ათასობით კრებასა და მანიფესტაციაზე, სადაც ვლინდება ყველა მშრომელთა, ყველა რესპუბლიკელთა კავშირი.

სწორედ ამ კავშირის დახმარებით მუშათა კლასი, ფრანგი ხალხი მიაღწევენ თავიანთ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას.

ხალხის მტრები იძულებული არიან აღნიშნონ, რომ ჩვენს ქვეყანაში ძირეულ ორგა- [illegible]

[illegible] ძდეგ.

ტორეზი შეეხო საფრანგეთის მთავრობის კრიზისს და განაცხადა: მთავრობის კრიზისი გამოწვეული იყო მშრომელი მასების ხნგავლენით, რომლებსაც ბევრი ტანჯვა მიაყენა ამ მთავრობამ. ამიერიდან საქმე ეხება სრულიადაც არა იმას, რომ უბრალოდ შეიცვალოს მთავრობის შემადგენლობა ან რაიმე ადგილ-

[illegible] ციალიზმის გზით“.

რუანში შედგა მიტინგი 10 ათასი მშრომელის მონაწილეობით, რომელზეც გამოვიდა ჟაკ დიუკლო. მიტინგის დამთავრების შემდეგ მშრომელებმა ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს დემოკრატიული ერთიანობის მთავრობის შექმნას.

# პრემიერა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში

გუშინ თბილისის მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მორიგ პრემიერად მაყურებლებს უჩვენა დავით კლდიაშვილის პიესები „ირინეს ბედნიერება“, „უბედურება“ და „დარისპანის გასაჭირი“.

დადგმა ეკუთვნის რესპუბლიკის სახალხო არტისტს შ. ღამბაშიძეს, მხატვრობა—ი. სუმბათაშვილს.

მთავარ როლებს ასრულებდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი შ. ღამბაშიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ს. თაყაიშვილი, გ. შავგულიძე, შ. ჯაფარიძე, კ. დაუშვილი, მსახიობები ა. ხეგალიშვილი, ტ. საყვარელიძე, ნ. ჩხეიძე, ა. დონჯაშვილი, ზ. ლევავა, გ. გელოვანი, ქ. დოლიძე, თ. სხირტლაძე, ბ. გამრეკელი, ე. ყიფშიძე და სხვ.

სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

# მომგებიანი ანაბრების მორიგი მე-14 ტირაჟი

თბილისის კაგანოვიჩის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის დარბაზში დღეს, 14 ოქტომბერს ჩატარდება საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებში შეტანილი მომგებიანი ანაბრების მორიგი მე-14 ტირაჟი.

ტირაჟის მოახლოებასთან დაკავშირებით შემნახველ სალაროებში შესამჩნევად გაძლიერდა მომგებიანი ანაბრების შეტანა.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე **ი. ნატროშვილი**


**მოქალაქეთა საყურადღებოდ**

მიმდინარე წლის 15 ოქტომბრიდან ქ. ქ. თბილისის, სოხუმის, ბათუმის, სტალინირის, ქუთაისისა და ფოთის შემნახველ სალაროებში შემოღებული იქნება უნაღდო ანგარიშსწორება მოსახლეობის იმ გადასახდელებისა, რაც განკუთვნილია ბინის, ელექტროენერგიის, ტელეფონისა და რადიოსათვის.

მეანაბრეებს, რომელთაც სურთ ისარგებლონ შემნახველი სალაროების მომსახურებით უნაღდო ანგარიშსწორების საქმეში, შეუძლიათ მისცენ სათანადო განკარგულება (პირადად ან ფოსტით) იმ შემნახველ სალაროს, სადაც ისინი მეანაბრეებად ირიცხებიან.

ცნობებისათვის უნდა მიმართოთ შემნახველ სალაროებს.

**საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროების და სახკრედიტის სამმართველო**

**თეატრებში**

რუსთაველის სახელობის (კონსერვატორიის დიდ დარბაზში, გრიბოედოვის ქ. № 8)

14-X „ჩაძირული ქვები“

მარჯანიშვილის სახელობის

14-X დავით კლდიაშვილის პიესები

15-X „ხარაგაანთ კერა“

[illegible]

მეუღლე ნესტორ, შვილი დიალა, სიძე ვახტანგ ქამიბაძე, დედა პელაგია კახეთელიძე, ძმისწული მედეა კახეთელიძე, და ოლიმპია ალლაძე შვილებით იუწყებიან, რომ 16-X, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია ზინაიდა პავლეს ასულ ჯორჯიკიას პანაშვიდი.

[illegible]

მეუღლე ნინო, შვილები დავით, ლოლა, კონსტანტინე, ძმა სიმონ ცოლშვილით, რძალი შ. კვინტრაძე, სიძე გ. აფციაური, შვილიშვილი დიდი იუწყებიან სერგო ვახუშტის-ძე კოვზირიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-X, ლახუნდარაში (ხარაგოულის რაიონი).

შვილები საშა, პარმენ, ალიომა, გალინა, რძლები მარიამ, მარო, შურა, ლიდა, შვილიშვილები სერგო, თინა, განსო, მედეა, მარგარიტა, ნელი, ლიანა, ლამზირა, ლამარა, ადა ბურჯანაძეები იუწყებიან მატრონე ბიჭიას ასულ ჯაშიაშვილი-ბურჯანაძის გარდაცვალებას. გამოსვენება 15-X, 5 ს. მარტის, 1.

[illegible] სახალხო არტისტს ემანუელ აფხაიძეს მისი მამის ელისეს გარდაცვალების გამო.

შვილი კოლა, რძალი შურა, შვილიშვილები ალექსანდრე, ნიკოლოზ, გიორგი, ლილი, რძლები ოლია, ნინო, მანია, ასია შვილებით იუწყებიან ევა ჯალალოვის გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-X ყურჯაანში.

[illegible] ვ. ალექსიძე იუწყებიან, რომ 16-X, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია ევგენია ივანეს ასულ კვირიკაძის პანაშვიდი.

ა. კოპაძე, მ. საყვარელიძე, დ. მესხი, კ. ლორთქიფანიძე და ი. კუხალეიშვილი იუწყებიან ემანუელ აფხაიძის მამის ელისე აფხაიძის გარდაცვალებას.



რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხმადივნის — 3-06-88, განყოფილებები: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო-სამეურნეო — 3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტო და საბჭოთა მშენებლობის — 3-80-88, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგის და გამომშვების—3-81-65, გამოცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ № 14. ტირაჟი 150.000 ეშ 04329